№ 3032
სამშაბათი,
21 მარტი

# ცნობის ფურცელი

№ 3032
სამშაბათი,
21 მარტი

გაზეთ. ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუა, დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Могзбе". ტელეფონი № 372

1906 წელს
„ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან.
ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან.
ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარ ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

ადრესი: Тифлисъ. редакція „Цнобисъ Пурцели".

ტფილისის კლუბში. ქართული წარმოდგენა.

სამშაბათს, 21 მარტს, 1906 წ., ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

კრეჩინსკის ქორწინება

კომედია 3 მოქმედებად სუხოვო-კობილინისა თარგ. ა. ღულაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ქ. ჯავახოვისა, ოლ. ლეჟავა; ბ-ნნი: ვ აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია, გედევანოვი, დ. ჩარკვიანი, საფაროვი, იმედაშვილი, მუმლაძე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „პირველი მერცხალი", „ხალხი", „ოტელლო", „ამ დროის გმირები".

ადმინისტ. ვ. გუნია. რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

## დუშეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი,

ნ. ლ. ყაზბეგი, სთხოვს ბ. ბ. თავადთა და აზნაურთ დუშეთის მაზრისას მობრძანდნენ ამა წლის 26 მარტს, დუშეთის სამხედრო ბეგრის მაზრის სამმართველოს სადგომში, შუადღის 12 საათზე და თან წარმოადგინონ სათანადო საბუთები ცენზის შესახებ (გამიჯვნის პლანები, ნასყიდობის აქტები და სხვა საბუთები კანონიერ მფლობელობის შესახებ), რათა შესწორებულ იქმნას სია მაზრის თავად-აზნაურთა, რომელთაც ნება აქვთ თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებაში მონაწილეობის მიღებისა. (ნ. 2—2)

## „ახალი დროების"

რედაქცია უცხადებს თავის მუდმივ ხელის მომწერლებს, რომ გაზეთის გამოცემა შეჩერებულია. ქალაქის ხელის მომწერლებს, რომელთაც არა სურთ მოცდა, სთხოვს მობრძანდნენ რედაქციის კონტორაში დილის 9—10 საათამდის შემოტანილ ფულის მისაღებად. ქალაქ გარედ მყოფთ, ვინც გამოაცხადებს სურვილს, ფოსტით გაეგზავნება ფული. თუ გაზეთის გამოცემა სამუდამოდ მოისპო, ყველა ხელის მომწერლებს თავიანთი ფული უკანვე დაეგზავნებათ. (1)

ახალი რესტორანი
„ავრორა"

ვანისა, რომელსაც „არარატი" ეკუთვნოდა. მიხაილოვსკის ქ., ბერძენიშვილის სახლი, № 5, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად).

რესტორანი საუკეთესოდ არის მოწყობილი, სამაგალითო სისუფთავე, მშვენიერი საჭმელები და ზრდილობიანი მოპყრობა. რესტორანთან არის პატარა ბაღი და ცალკე კაბინეტები. მზადდება ყოველნაირი საჭმელები. ღვინო საუკეთესო ფირმებისა. როგორც საჭმელი, ისე ღვინო იაფად. სადილები: ორი კერძი, ერთი არაყი, ერთი სტაქანი ღვინო ან ლუდი—50 კაპ., სამი კერძი, ერთი არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—80 კაპ.; ოთხი კერძი, ერთი არაყი, ნახ. ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—1 მან.

მარტის დამლევიდან რესტორანთან იქნება ბილიარდები გოცის ფაბრიკისა.

(თვ.—4) პატივის ცემით ვანო და გიგო.

ქუთაისის ქალაქის
## გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ ამა წლის 28 მარტს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით იჯარით გაიცემა ქალაქის საავადმყოფოს შენობის აგების საქმე. ხარჯი განზრახულია 49822 მან. 84 კაპ. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ბე 300 მანეთი; ხელშეკრულების შესაკრავად-კი წარმოდგენილ უნდა იქმნას საიჯარო თანხის 10% ნაღდ ფულად.

ვაჭრობა საბოლოო იქნება.

პროექტის ხარჯთაღრიცხვის, დაწვრილებით პირობების და სხვა დოკუმენტების გასინჯვა და შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 მდე. (3 ნ.—3)

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,

რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5-დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივანისა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—25)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ზ. ალაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.
ი. ნ. მხიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
ვ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ზ. ა. ტატიშვილოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ი. ამბისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. ა. ქიმოჩი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ორლოვი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
ბ. ა. ზიმინი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებითა. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო [illegible] ცალკე ოთახებს (1 50—57)..

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, კვირეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მ. ზ. ამეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.
ძ. ი. მძოლიშვილი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.
ა. ჰ. ქარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ა. ი. შჩერბინინა: 1½—2 ს. საბებიო და ქალთა ავადმყოფობანი.
მ. ი. გურგენოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. ი. კუზინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.
ნ. მ. იხიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана
Тиф. нет. противъ памятника Воронцова. (წლ.)

ექიმი
მ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი [illegible].

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კროვატი.

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან-11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50 120—3)

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა. (14—კვ.—14)

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა მიღება საშარდეს და სიფილისიან ავადმყოფებისა, დილით 12—1 ს., საღამოთი 6—8 ს., კუკია. სემენოვსკის ქუჩა, № 20 (თვ.—7)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. ს. ბეთანოვი

იღებს ავადმყოფებს (ქალის, საბებიო, შინაგანი სნეულ.) ვლადიკავკავის და ტფილისის ქუჩების კუთხე, კომერციულ ბანკის სახლში. (80—81.—16)

ექიმი
ზ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (200—5.—50)

# დასავლეთ საქართველოში

**სამეგრელო.** ზუგდიდისა და მთელის მაზრის მცხოვრებნი დარწმუნებულნი იყვნენ—აქ მაინც არ განმეორდება ის საშინელი რეპრესიები, რომელსაც ადგილი ჰქონდა სხვა კუთხეებში, რადგან საიმისო არა მომხდარა-რა, არც ერთი კაცი არ მოუკლავთ, ერთი ნემსის საფასურიც არ დაკარგულა, არავითარი უწესოება არა ყოფილა და საზოგადოდ „ერთობის" დროს სამაგალითო „წესიერება" ჰსუფევდა. თავის დღეში ვერ წარმოიდგენდნენ, რომ სრულიად უდანაშაულო მშვიდობიანი ხალხი მაინც სასტიკად დაისჯებოდა. მიზეზი? ათასიც რომ ეძებოთ, თვით ბიუროკრატიულის თვალთა ხედვის ისრითაც ვერავითარს მიზეზს ვერ უპოვით. ალბათ, უნდა აღსრულდეს. კაცს რაც შუბლზედ აწერია!

როგორც რომ მიადგა ზუგდიდს ჯარი პოლკოვნიკის ხონძინსკის უფროსობით, მცხოვრებნი გამოეგებნენ თეთრის დროშებით და პურ-მარილით. ადგილობრივ საქალაქო სასწავლებლის შენობაში ვაჭრებმა გაუმართეს საუზმე, რომლისათვის ბლომად ფული დახარჯეს, მაგრამ ვერაფერმა გასჭრა. ნაპურმარილევმა და შეზარხოშებულმა სტუმრებმა ჯერ კარგად შეამკეს გულ-უხვი და გულ-უბრყვილო მასპინძლები „უჩნობისათვის", „ლალატისათვის" და სხვა ათას ისეთ რამისათვის, რომელიც საბრალო მოქალაქეთ გულშიაც არ გაევლოთ, მერე-კი შეუდგნენ ჩვეულებისამებრ ქალაქის „აღებას". გადაიწვა მშვენიერი სახლი მიხა გაგუასი, რომელიც არც ერთს ორგანიზაციაში მონაწილეობას არ იღებდა და სრულიად გარეშე იდგა. ამბობენ, რაღაც დაცლილი პატრონები იპოვნეს იმის სახლშიო. გადაიწვა აგრეთვე სახლები პეტრე კედიასი, მღვდლის იოანე ბობოხიძისა და სხვ. დაცალიერებული სატუსაღო ხომ მაშინვე გაივსო „პოლიტიკურ დამნაშავეებით". სხვათა შორის დაპატიმრებულ იქმნენ: ყველასაგან პატივცემული უწყინარი მასწავლებელი საქალაქო სასწავლებლისა უშა ჯგუშია და მასწავლებელი ქალები ლიდია შუშანია, არიადნა ჯოხთაბერიძე, მარიამ ჟორდანია და ნინო ლუკავა. დააპატიმრეს რისთვისღაც ზუგდიდის დეპუტატი დათა კარტოზიაც, მაგრამ ისევ მალე გამოუშვეს. მოკლულ იქმნა ბარონ შამუგია. გადაყენებული ბოქაულები,—ცნობილნი სოლომონ შენგელაია და ექვთიმე ქვარაცხელია კვალად შეუდგნენ თავიანთ საგმირო საქმეებს განსაცვიფრებლად და შესაძრწუნებლად მცხოვრებთა.

საშინლად ქსელ-გაბმულ პროვოკაციის წყალობით ხმა გავრცელებულა ჯარში, რომ ვითომ სოციალისტ-ფედერალისტთა მებრძოლ რაზმის 200 შეიარაღებული კაცი გამაგრებულია ს. ჭკადუაშში და მედგარ წინააღმდეგობას უპირებს მთავრობის ჯარს, ვითომ ამ რაზმს წინამძღოლობს მუშნი დადიანიო. ამისათვის ზუგდიდიდან წამოვიდა დიდ ძალი ჯარი და მიადგა ს. ჭკადუაშს, სადაც მცხოვრებთ სრული მორჩილება განუცხადეს. დაეცნენ მუშნი დადიანის სახლს. ამ სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ერთიანად გადაწვა ეს უშველებელი სახლ-კარი ყოველივე შიგ მდებარე ნივთებით. თვითონ მუშნი-კი შინ არ იყო. შემდეგ მიადგნენ დეკანოზის ნესტორ ალშიბაიას სახლს და გამოითხოვეს მისი შვილი სტუდენტი ვასილ ალშიბაია, რომელსაც აბრალებდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციაში მონაწილეობას. ვასილ ალშიბაია პირადად გამოვიდა ჯართან და უთხრა, სახლს რაღათა სწვავთ, ან მცხოვრებთ რაღათ აწუხებთ, მე აგერა ვარ და ციხეში წამიყვანეთო. შეიპყრეს და გადასცეს ორს ყაზახ-რუსს წასაყვანად. ალშიბაიას მოკვლის ამბავი უკვე აწერილი იყო თქვენს გაზეთში, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებ.

სოფლების წვა-დაგვა და დაწიოკება ჯერაც არ დასრულებულა. ჭკადუაშის შემდეგ ყველაზე უფრო საშინელი რისხვა დაეცა.

სოფელ ქოქვინჯს, რომელიც შარშანაც იყო დაწიოკებული. აქ მოითხოვეს სხვათა შორის აგიტატორის ვასილ გეთიას, და დეზერტირის ნიკო ხვიჩიას გაცემა, რაიც ხალხმა ვერ შესძლო (ხვიჩია შემდეგ თვითონ გამოცხადდა) დილა ადრიანად უთენებლივ გაჩნდა ცეცხლი. შემდეგ გავიდნენ მდინარე ჯუმის წყალსა და პირდაპირ მელიტონ გობეჩიას სახლისაკენ გასწიეს. თვითონ მელიტონ გობეჩია შინ არ დახვდათ და დედამისი კი ძალიან შეაშინეს, შეუცვივდნენ სახლში და გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს გარდა ძველის გაზეთებისა, რომელსაც ცნობის მოყვარეობით კითხვა დაუწყეს. ესტუმრნენ სხვა გობეჩიებსაც. ქოქვინჯში სულ გადაწვეს 50-დის სახლი, მათ შორის სახლი მოხუცებულის ფერშლის ერისტო ხუბულავასი. კირცხსა და ახლო-მახლო სოფლებს ალყა შემოარტყეს და დაიწყეს ჩვეულებრივი ჩხრეკა. ს. წალენჯიხაში თვითონ გამოცხადდა იაკობ შანავა, რომელიც წაიყვანეს და ზუგდიდის ციხეში ჩასვეს. დაიჭირეს აგრეთვე სვიმონ ქოლოხავა. ცნობილ ს. მუხურსაც, რასა თქმა უნდა, არ დასტოვებდნენ უყურადღებოდ. აქაც რამდენიმე სახლი გადაიწვა. სვიმონ თოლორდავა, რომელსაც დაეძებდნენ, ვერ დაიჭირეს და გამოეკიდნენ ს. ჯვარისაკენ.

ვიღაცეებს უთქვამთ, რომ მოძრაობის მეთაურნი თავიანთის რაზმებით მთისაკენ ს. ჯვარისაკენ გაიხიზნენ და გამაგრდნენო, ს. ჯვარი და ხუდონა მათი ბუდეა და ამ სოფლებს უნდა აღება და შემდეგ ყველა რევოლუციონერები ხელთ ჩაგვივარდებაო. ამისათვის ჯარი სომრად გამზადებული კავალერიითა და არტილერიით დაიძრა ჯვარისაკენ. თვით ს ჯვარში საეჭვო ვერაფერი იპოვეს, თავად-აზნაურებმა მეჯლისი გაუმართეს, მაგრამ მაინც გაჩხრიკეს რამდენიმე სახლი. დაიწვა გოგინავას დუქანი. ამ დუქანში, როგორც დუქნის ბიჭი გამოტყდა, პური უჭამიათ გზად გავლილ მუშნი დადიანსა და მის ამხანაგებს! თქვენს მტერსა და დუშმანს დაუდგეს ის დღე, რაც ს. ხუდონის დაუდგა. ეს სოფელი გარშემორტყმულია მთებით, თითქმის მიუვალია და მართლაც რევოლიუციონერებს წინაღმდეგობის გაწევა რომ ნდომებოდათ, მთელს დივიზიას გაუწყვეტდნენ და მაინც არ შემოუშვებდნენ, მაგრამ ეს არც ჰქონიათ განზრახული. ავიდნენ ამ სოფელში და თუმცა „საეჭვო" კაცი ვერავინ ჰპოვეს, სოფელს ხუთას-ექვსას თუმნამდის ზარალი მოუვიდა.

ვინ ჩამოსთვლის კიდევ რამდენს სოფელს ესტუმრნენ. ს. ქვალონში ესტუმრნენ ანდრო ლოლუას, მაგრამ იგი შინ არ დახვდათ. საზოგადოდ, ისეთს ადგილებსა და ისეთ კაცებს მიადგებიან ზედ, რომ თუ არ შინაურის ჩვენებით, გარეშე თავის დღეში ვერ მოიფიქრებდა მისვლას. წინ უძღვიან ადგილობრივი მცხოვრებნი, საერობო „სტრაჟნიკებად" ნამყოფნი. ერთს ასეთს „სტრაჟნიკს" შეროზის ვიღაც აბრაგები თავს დაესხნენ და რაკი თვითონ ვერ იპოვნეს, მისი ახალ-დანიშნული საცოლე მოჰკლეს. აი რა მახინჯ შურისძიებამდის მიიყვანეს საქმე! სოფლების „დამორჩილება" და თარეში თავის რიგზე მიდის.

ასეთ შავ-დღე დაყენებულმა მეგრელებმა, რასა თქმა უნდა, ყოველი მოთხოვნილება შეუსრულეს. მისცეს ხარკი და გადასახადები, მისცეს ჯარში გასაწვევი ყმაწვილი კაცები, რომელნიც მთელი ორი კვირა ზუგდიდში დამწყვდეულ გაქცევის შიშით.

ამ დღეებში ვიღაც ყაჩაღებმა მოჰკლეს ს. მუხურის მამასახლისი, რომელსაც ხალხიდან გადასახადი მოეკრიფა და ზუგდიდში მიჰქონდა ჩასაბარებლად. ერთი ყაჩაღი აღმოჩნდა ცნობილის სერაფიონ კვარაცხელიას ძმა. გამოეკიდა ჯარი ამ ყაჩაღებს. გზა-დაგზა სოფლები დაზარალდნენ. მდინარე ენგურის გაღმაც გავიდნენ და სამურზაყანოში შევიდნენ.

**მეგრელი.**

**სამურზაყანო.** სამეგრელოში მომხდარმა ამბებმა შიშის ზარი დასცა მოსაზღვრე სამურზაყანოსაც. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამურზაყანოს უმეტეს ნაწილში მაინცა და მაინც „ქადაგება" არა ყოფილა, „ერთობის" სახელი ჰქონდათ მხოლოდ გაგონილი, თუმცა მთავრობის მოხელე-დაწესებულებანი გაუქმებულ იქმნენ და ქურდობა-აბრაგობის მოსასპობად არჩეულ იყვნენ ათისა და ასის თავები. რეაქციის დაწყებისა და ჯარის შემოსვლისათანავე დაიწყო ქურდობა-ავაზაკობა, კვლავ გავარდნენ ტყეში ის საშიშარი აბრაგები, რომელნიც ამას წინად მშვიდად და წყნარად სცხოვრობდნენ.

მდინარე ენგურის პირად სოფელს საბერიოში თავის მამულში სცხოვრობდა გენერლის თავ. ზურაბ ჩქოტუას შვილი დავით ჩქოტუა (უმაღლესი განათლება აქვს მიღებული), რომელიც ახალგაზრდობაში ციმბირში იქმნა გაგზავნილი და მთელი 30 წელიწადი იქ გატარა. ამ ორისა თუ სამის წლის წინად დაბრუნდა თავის სამშობლოში მოხუცებული და წყნარად სცხოვრობდა თავისთვის, არც ერთს პარტია-ორგანიზაციაში მონაწილეობას არ იღებდა. აი ეს მოხუცებული ერთს მშვენიერს დღეს დაიბარეს ს. გალის საპოლიციო ნაწილში და დაიჭირეს სამეგრელოში დაბანაკებულ ჯარის უფროსის პოლკოვნიკის ხონძინსკის მოთხოვნით. თავ. ჩქოტუას გააყოლეს რამდენიმე დარაჯი და ზუგდიდის ციხეში გაგზავნეს. ამ ამბით მეტად შეშფოთებულმა და მიზეზის უცოდინელმა სრულიად უდანაშაულო მოხუცმა გზაზე სცადა თავის განთავისუფლება, მაგრამ ისევ დაიჭირეს და ზუგდიდის ციხეში ჩასვეს, კაცმა არ იცის—რისთვის.

აქეთ ჯერ-ჯერობით იმდენად არ შევუწუხებივართ, რამდენადაც გვაწუხებენ ადგილობრივი რაინდები, ალბად „изъ любви къ искусству". რეაქცია დადგა თუ არა, შესდგა დიდ-ძალი შავი რაზმი 200—300 კაცი უმთავრესად ბედიელთა. შ—ს წინამძღოლობით, რომელთაც იარაღს ურიგებენ და დავალებული აქვთ სდევნონ და ჰხოცონ „მოქადაგენი", „ერთობის" კაცები და ქურდ-აბრაგები. ამას წინად ს. საბერიოში შემდეგი მოხდა. ადგილობრივ გლეხს ცნობილ ქურდბაცაცას დ. ბ—ს დაეპეზღებინა პირადის მტრობით ადგილობრივი მცხოვრები ტაია ხორავა, რომ ვითომც მის სახლში ერთი მოქადაგე-აგიტატორი ყოფილიყოს. მაშინვე შავი რაზმის ნაწილი ღამე თავს დაესხა ტაია ხორავას სახლს და უღიერად გაჩხრიკა, მაგრამ ვერავინ იპოვნა. ამითი არ დასჯერდნენ და ააფორიაქეს კიდევ რამდენიმე სახლი. დაიჭირეს სრულიად უბრალო შარვან ცალია, მაგრამ ისევ გაუშვეს ცოტათი გულ-ნატკენი რაინდები ხელ-ცარიელნი დაბრუნდნენ. ს. საბერიოშივე ერთს ღამეს ზუგდიდიდან წამოსული „სტრაჟნიკები" ბოქაულის მოადგილის წინამძღოლობით ღამე თავს დაესხნენ ტუგუ ხორავას სახლს და წაიყვანეს ზუგდიდიდან გახიზნული მასწავლებელი ქალი ნინო ლუკავა, რომლის მამა ზუგდიდშივე დაეჭირათ.

ქურდები ათას გვარ უმსგავსოებას სჩადიან. ერთის გლეხის სახლში ცხენების მოსაპარავად მისულა ორი ქურდი და რაკი თავლის კარების გატეხა ვერ შეძლებიათ, სახლისათვის წაუკიდებიათ ცეცხლი იმ აზრით, რომ პატრონი ცხენებს გარედ გამოუშვებსო. მართლაც გარედ გამოშვებულ ცხენებს გამოჰკიდებიან, მაგრამ მაინც ხელთ ვერ უგდიათ, ხოლო სახლი გადაწვა. აქეთ სისხლის აღება მეტად გავრცელებულია. ს. რეხში ერთმა გლეხმა ცულით თავი გაუჩეხა პატარა ყმაწვილს მის მამისადმი სისხლის ძიებისა გამო.

ამ დღეებში ხმა გავარდა, რომ სამურზაყანოსა და საათბაზოში (სოხუმის ოლქში) სამხედრო დროის წესები გამოაცხადესო. ჯარიც გადმოსხეს სამხედრო გემებით სოხუმსა და ოჩამჩირეში. ამ ამბავმა ძალიან დააფრთხო მცხოვრებნი და ს. გალისა და ახლო-მახლო მცხოვრებთ ნივთები მთებში გაიტანეს. მართლაც ერთს მშვენიერს დღეს ოჩამჩირესთან ზღვაში გაჩნდა კრეისერი, რომლის პროჟექტორის სინათლემ ისე გაანათა არე-მარე, რომ მცხოვრებთ წმ. გიორგი ეგონათ, ხოლო კრეისერს, ალბად, იმისი გაგება უნდოდა, ნაპირებზე რევოლიუციონერებს ციხე-სიმაგრე ხომ არა აქვთ აგებულიო! მართლაც გაისმა კრეისერიდან ზარბაზნების გრიალი, თურმე ზღვაში ნი-

შანი გაეკეთებინათ და ბოლოს შეერბოდნენ. კრეისერიდან გადმოვიდა 50 პლასტუნი. ამის გარდა კიდევ მოელიან ჯარისკაცებს.

ს. გინძე-ეწერში დაეცნენ სპირიდონ ნორაკიძის სახლს და გაჩხრიკეს, მოითხოვეს თვითონ სპ. ნორაკიძე, მაგრამ იგი შინ არ დახვდათ. ს. ჯგერდეში მიუხტნენ თავ. ტატაში მარშანიას და გაჩხრიკეს, ეგონათ იარაღ-პატრონების საწყობი აქვს გამართული, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს. ჩვენს მხარეში იარაღის ტარების ნება არავის აქვს, მაგრამ ამას ვერ შეურიგდნენ მცხოვრებნი, რის გამო ხშირად ხდება ხოლმე იარაღის ჩამორთმევის დროს უკმაყოფილება. ყველა ეს იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ შავი ღრუბლები ჩვენს ლაჟვარდოვანს ცაზედაც შეიკრიბება, ქექა-ქუხილი ასტყდება და კოკისპირული ნიაღვარი წამოვა. გენერალ ალიხანოვს დღე-დღეზედ მოელიან.

# ახალი ამბავი

◆ **არჩევნები მაზრაში.** ტფილისის მაზრაში დაიწყო არჩევნები: სოფ. ოლგინსკაში 30 კომლიდან აირჩიეს 3 რწმუნებული, სოფ. ელისავეტინსკაში 34 კომლიდან 3 რწმუნებული, ხოლო სოფ. ელისავეტალში 190 კომლიდან—19 რწმუნებული. მემამულეთა არჩევნები ჯერ არ დაწყებულა, რადგან მათის ქონებისა და ყოფა-ქცევის ცნობები ჯერ შედგენილი არ არის. სულ მემამულეთა რიცხვი 3 ათას კაცს უდრის. ამათში წვრილ მემამულეთა რიცხვი უდრის 1700 კაცს.

◆ **სათათბიროს არჩევნები.** ფშავ-ხევსურეთში რწმუნებულების ასარჩევად კრებები დაიწყება 27 მარტს. თიანეთის მაზრის უფროსის ზედამხედველობით. მაზრის უფროსს განზრახვა აქვს ამ თვის 26 წავიდეს ს. მაღაროსკარს.

◆ **ფოსტის თავდასხმა.** გუშინ, 20 მარტს, სადგურ ტაბახმელასთან კვლავ დაესხნენ ფოსტას ვიღაც უცნობნი პირნი. მოჰკლეს ფოსტალიონი, მეეტლე, მძიმედ დასჭრეს სტრაჟნიკი და გაიტაცეს 400 მანეთამდის.

◆ **სტაროსელსკის საქმის გამოძიება.** ქუთაისის გუბერნატორად ნამყოფ სტაროსელსკის და ვიცე-გუბერნატორ ყიფშიძის საქმის გამოძიება უკვე დასრულა მიტკევიჩმა და გუშინ, 20 მარტს, კავკასიის საოლქო შტაბს გადასცა.

◆ **აფრასიონ მერკვილაძის მოკვლა.** ქუთაისის გუბერნატორმა დეპეშით აცნობა ნამესტნიკს, რომ 16 მარტს, ღამე, სოფ. ც[illegible]ხში საერობო დარაჯებმა მოჰკლეს ცნობილი აფრასიონ მერკვილაძეო.

◆ **მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობის შესახებ.** ტფ. თავ. და აზნ. დეპუტატთა საკრებულოს შეუდგენია მოხსენება მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ. ამ მოხსენებას თავადაზნაურობა განიხილავს 15 მაისს.

◆ **სტიპენდიების მოსპობა.** ის 20,000 მანეთი, რომელიც უმაღლესად გადაიდო ტფ. თავად-აზნაურთა სასარგებლოდ, ჯერ არ მიუღიათ. როგორც ვიცით, ეს ფული თავად-აზნაურობამ სწავლა-განათლების საქმისათვის გადასდო. თავად-აზნაურობის თხოვნა ამ ფულის შესახებ ნამესტნიკს ფინანსთა სამინისტროში გაუგზავნია, თუმცა 20,000 მანეთი ტფილისის ხაზინაშია. ამის მიზეზით თავად-აზნაურობამ სტიპენდიების ძლევა მოსპო ამ წლის მარტიდან. სადეპუტატო საკრებულოს სხვა თანხებიდან უკვე დაუხარჯავს შვიდასი თუმანი, მაგრამ ვერ შეუვსია, იმედი ჰქონდა, რომ ხსენებულ 20,000 მანეთს მიიღებდა ყოველ წლივ.

◆ **შარშანდელი გადასახადები.** როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, 1905 წელს ტფილისის მაზრის სოფლებზე სახელმწიფო და საერობო გადასახადი გაწერილი ყოფილა 70,000 მანეთი. ადმინისტრაცია ეხლა შესდგომია თურმე აღნიშნულ ფულის შეკრებას და თითქმის ნახევარზე მეტი აუღია კიდეც.

◆ **ბათუმიდან დაბრუნება.** ბათუმიდან მიხეილის ციხის დათვალიერების შემდეგ დაბრუნდნენ ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი მალამა, საარტილერიო ოლქის უფროსი გენ.-ლ. რეშეტინი, შტაბის უფროსი გენ. ლ. შატილოვი, საინჟინერო ოლქის უფროსი გენ. ლ. იანუშკევიჩი და საინტენდანტო ოლქის უფროსი გენ. აგაპოვი.

◆ **პოლიციელის მოკვლა.** 19 მარტს, საღამოს რვა-ნახევარ საათზე, ვერაზე მლეთის და ვარდისუბნის ქუჩების კუთხეში, მოჰკლეს უფროსი პოლიციელი (გოროდოვოი) კრუჩკოვი. ვიღაცას ორჯელ უსროლია რევოლვერი კრუჩკოვისათვის, რომელიც იქვე დუქნიდან გამოსულა. მსროლელი გაქცეულა. კრუჩკოვს ორივე ტყვია გულში მოხვედრია. დაჭრილი გაქცეულა, მაგრამ იქვე წაქცეულა და საავადმყოფოში იგი მკვდარი მიუტანიათ.

◆ **საჯარო ვაჭრობა.** 29 მარტისათვის ტფ. სათავად-აზნაურო ბანკში დანიშნულია ხელმეორედ ვაჭრობა იმ მამულების გასაყიდად, რომელიც ვერ გაიყიდა წინა ვაჭრობაზე. ამ დღეს უნდა გაიყიდოს მამულები: ქალაქ ტფილისისა—13, გორისა—2, ერევნისა—3, ალექსანდროპოლისა—1, შუშისა—2 და ბაქოსი—11. ბაქოს ამ 11 მამულს აქვს ვალი და ნედომკა 725,000 მანეთი. სოფლის მამულები არის გასაყიდი მაზრებში: ტფილისისა—3, გორისა—6, დუშეთისა—3, თელავისა—2, ბორჩალოსი—1. განჯის გუბერნიაში 6. მოკლე ვადით დაგირავებული მამულები—8.

◆ **სოლოლაკის ტუნელი.** მკითხველებმა იციან ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სოლოლაკის გვირაბის (ტონელი) ექსპლოატაცია განთავისუფლებულ იქმნას იმ ხარჯისაგან, რომელიც უნდა აიღოს მუდამ წელს ტფ. საბოტანიკო ბაღმა. გუბერნატორი იტყობინება, ეს შუამდგომლობა ნამესტნიკს გავუგზავნეო და ეხლა საქმე იმაზეა დამოკიდებულიო.

◆ **ქართული წარმოდგენა.** დღეს, ტფილისის კლუბის დარბაზში, მანთაშევის სახლებში, ვლ. ალექსი-მესხიშვილისა, გედევანოვისა და ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება სუხოვო-კობილინის 3 მოქმედებიანი კომედია „კრეჩინსკის ქორწინება“. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია.

◆ **სამსონ ღლონტის საქმე.** საქმე სამსონ ღლონტისა, რომელსაც საკანტროლო პალატის ხაზინადრის მალინოვსკის მოკვლას აბრალებენ, აუღია ნაფიც ვექილს მ. ა. კლიანკს. ეს საქმე სამხედრო სასამართლოში უნდა გაირჩეს ამ ერთ კვირაში.

◆ **კიდევ დიდ მამულის გაყიდვა.** დიდი მამული ახპატისა (ბორჩალოს მაზრა) თავად ზ. დ. ბარათაშვილისა დაგირავებული ყოფილა 200,000 მანეთად. ეს მამული ძალიან მდიდარია. იმის ტყეში ეხლავე მოიჭრება 4,000 საუკეთესო დიდი მუხის ხე, 3,000 უშველებელ კაკლის ხე და სხვა. ამ მამულში ამ ორი წლის წინად ევროპის კაპიტალისტები აძლევდნენ 2,000,000 მ. ყიდვით კი არა, მხოლოდ ტყის მასალის გამოსაზიდად. ამ მამულის ვაჭრობის დროს (ნედომკა არ იყო შეტანილი მხოლოდ 8,000 მანეთი) აბრამიანს ბანკის ვალისათვის მიუმატებია მხოლოდ 106 მანეთი და ეს აუარებელი სიმდიდრე ამ რიგად შეუძენია.

◆ **საქციონერო საზოგადოება.** ტფილისში არსდება საქციონერო საზოგადოება არყითა და კონიაკით მოვაჭრე მექარხნეებისაგან. საქციონერო საზოგადოებაში შედიან მექარხნეები სარაჯიშვილი, მელვინოვი, ხუბლაროვი, სოლომონოვი, ალექსანდროვი, გაბაშვილი, ბიდასაროვი, კვეზერელი—კოპაძე და სხვანი.

◆ **მოხელეთა დათხოვნა.** ტფილისის სახაზინო პალატის გამგეს ორი მოხელე კიდევ ჰყოლია სახეში დასათხოვნად, ერთი გორის ხაზინიდან და მეორე სიღნაღისა.

◆ **ჯარის გამოთხოვა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს პოლკ. ნეიგებაუერს ეთხოვა ქუთაისის გუბერნიაში დაბანაკებულ ჯარის უფროსისაგან, რომ სვირისა და აჯამეთის ხიდები უზრუნველ ჰყოს ჯარის გაგზავნით. თვით სადგურ რიონის დასაცველადაც 2 როტა ჯარი მოითხოვეს.

◆ **მონასტრის წინამძღვარი.** ბოდბისხევის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა იღუმენია იუვენალი (კნ. ვაჩნაძისა).

◆ მუხრანის ბირანი იჯარით გაიცა 11 ათას მანეთად. იჯარა დარჩა გედევანიშვილს.

◆ დიდუბის მცხოვრებლებმა ქალაქის გამგეობას სთხოვეს, რაც შეიძლება, მალე მოახდინეთ ხელ-ახლა დაფასება ჩვენის მამულებისა, თორემ ქალაქისა და სახელმწიფო გადასახადებს ვერ გაუძლებთ, რადგან ეხლა მამულები დიდად არის დაფასებულიო.

◆ ეს ათი დღეა დაიჭირეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში ნიკო ბესურაშვილი. სახლი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს. ნიკო ბესურაშვილი გაზეთის გამყიდველია. ამ დღიურის შრომით არჩენდა რვა წვრილ შვილს და ცოლს. უფროსი შვილი თორმეტის წლისაა.

◆ როგორც გვიგეთ, გორის მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელი შუამავალი თავ. შალიკაშვილი სამსახურიდან გადამდგარა.

◆ 17 მარტს, ასე 3½ საათზე, მამა დავითის ქუჩაზე, მეორე საპოლიციო უბნის ზედამხედველი სვინცოვი შეხვდა ვიღაც ქართველოვს, სვინცოვი მთვრალი იყო. ქართველოვმა უთხრა, პოლიციელს არ შეშვენის ასე სიმთვრალეო. სვინცოვმა იწყინა ეს, იძრო რევოლვერი, მაგრამ, საბედნიეროდ, ისე მთვრალი იყო, რომ ჩახმახის გამოწევა ველარ მოახერხა. მივიდა ხალხი, წაართვა რევოლვერი და საპოლიციო განყოფილებაში წაიყვანა.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფელ კარაკლისის გლეხები ძალიან შევიწროვებულნი ყოფილან უადგილ-მამულობით. ეხლა მათ შუამდგომლობა აღუძრავთ, მიეცეთ თავისუფალი სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები ტფილისის გუბერნიაში.

◆ ახალციხის მაზრის სოფლებ გრელის და ღვირის გლეხობას შუამდგომლობა აღუძრავთ, მიეცეთ სახელმწიფო-სამეურნეო თანხიდან სესხი თესლის სასყიდლად. აღნიშნული სოფლის გლეხები 1905 წელს დაზარალებულან სეტყვისაგან. მთავრობას თხოვნა შეუწყნარებია და ნათხოვნი სესხი მიუცია.

# ქუთაისის ამბები

წარსულ ხუთი წლის განმავლობაში შავი ქვის ფასი 19—20 კაპეიკს არ ასცილებია ფუთზე, ხოლო რკინის გზის მოძრაობის განახლების შემდეგ იანვარში შავ-ქვას ფასი მოემატა და დღემდისაც 26 კაპეიკად გადის. ამ გარემოებამ თავისი გავლენა იქონია შავი ქვის მრეწველობაზე. მრავალი ხალხი მიაწყდა ჭიათურას და გაჩაღდა მუშაობა. ვაგონები შავი ქვის გადატანას ვერ ასწრებენ, იმდენი გამოაქვთ მაღაროებიდან. ამ გარემოებით ისარგებლა ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებამ და გაჰყიდა ის შავი ქვა, რომელიც, სამ წელიწადზე მეტია, მას დაუგირავა რამდენიმე მრეწველმა და შავი ქვის ფასის დაწევის გამო აღარ გამოისყიდა და საზოგადოებას შეანარჩუნა. მკითხველს ეხსომება, რომ ამ ოპერაციაზე ქუთაისის საკრედიტოს საზოგადოებამ დიდი ზარალი ნახა და საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ საზოგადოების ლიკვიდაციაზე ლაპარაკობდნენ. შავი ქვის ფასის აწევით საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებამ ისარგებლა და გაჰყიდა თავისი შავი ქვა, მაგრამ სავსებით არა და აი რატომ: როცა ამ სამის თვის წინად შავი-ქვის ფასმა აიწია წინანდელთან შედარებით, წარსულ ზარალებით შეშინებულ გამგეობამ საჩქაროდ მიჰყიდა რამდენიმე მილიონი ფუთი ვიღაც ბერძენს იანოპულოს 7½ კაპეიკის კვალობაზე იმ დროს, როცა ერთი თვის შემდეგ იმავე ქვაში 10 კაპეიკსაც სიამოვნებით მისცემდნენ და ამ შემთხვევაში საზოგადოების კასას მიემატებოდა 100.000 მანეთზე მეტი, რაც წარსულ წლების ზარალს თუ სულ არა, დიდს ნაწილს მაინც დაჰფარავდა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ შეშინებული კაცის ამბავი. საურთიერთო საზოგადოების გამგეობამ წამსვე გაჰყიდა შავი ქვა, როგორც ცოტა ხელსაყრელი ფასი შეაძლიეს, და ის კი აღარ მიიღო მხედველობაში, რომ ფასს მეტად შეეძლო აეწია მარტო იმ მოსაზრებით, რომ ლონდონის ბაზარს მარტო შარშანდელ გაფიცვებს წყალობით თუ მეტი არა, 10—12 მილიონი ფუთი შავი ქვა მაინც დააკლდა და ეს გარემოება თავის გავლენას იქონიებდა შავი-ქვის მოთხოვნილებაზე და იმის ფასზე. მაგრამ როდისა გვქონდა საქმის ცოდნის უნარი და წინასწარ მხედველობა, რომ ამ შემთხვევაში გვესარგებლა. სხვათა შორის, ის გარემოებაც არის აღსანიშნავი, რომ მიმდინარე წლის იანვარში ისეთი დიდი მოთხოვნილება ყოფილა შავ ქვაზე ლონდონში, რომ 2 და 2½ შილინგს აძლევდნენ, ე. ი. ჩვენს ფულზე რომ ვიანგარიშოთ, ჭიათურაში ფუთი შავი ქვა სულ მცირე 35 კაპეიკად უნდა გაყიდულიყო იმ დროს, როცა ჩვეულებრივი ფასი 7 და 8 კაპეიკს არ აღემატება და ეხლა, როცა კაი ფასი აქვს შავ ქვას, 10 კაპეიკად იყიდება ფუთი.

◆ ამას წინად შევატყობინეთ,*) რომ შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭოს ეხლანდელმა წევრებმა გადასწყვიტეს საბჭოს მოღვაწეობის გადატანა ჭიათურაში. ეხლა, როგორც შევიტყვეთ, ერთ ნაწილს მრეწველებისას განუზრახავს შუამდგომლობის აღძვრა იმის შესახებ, რომ საბჭო ჭიათურაში კი არა, ფოთში გადაიტანონო. ახლად შეკრებილ ცნობებიდან ამ საგნის შესახებ აღმოჩნდა, რომ შარშანდელ კრებას მრეწველებისას შარშან შესაძლებლად ვერ უცვნია საბჭოს ჭიათურაში გადატანა და საკითხის განხილვა გადაუდვია ამ წლის მარტისათვის, როცა მრეწველთა კრება უნდა მომხდარიყო. საბჭოს ეხლანდელ წევრებს ის ნაწილი კრების გადაწყვეტილებისა, რომელიც ეხება საბჭოს ჭიათურაში გადატანას, სისრულეში მოუყვანია და მეორე კი, ე. ი. ის გარემოება, რომ საკითხის განხილვა საზოგადო კრებას თავის გადასაწყვეტად დაუტოვებია, უყურადღებოდ დაუტოვებია საბჭოს. ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა,

---

*) ამ საგანზე ყველა ცნობები ეკუთვნის ჩვენს მუდმივ კორესპონდენტს ქუთაისიდან და ყოველგვარი ეჭვი სხვა და სხვა პირებზე სრულიად უადგილოა.

# ფელეტონი

## სოციალდემოკრატია და მუშათა მოძრაობა

თავი პირველი

### საფრანგეთის სოციალდემოკრატია

### VIII

(შემდეგი*)

ჩვენა ვსთქვით და კიდევ ვიმეორებთ, რომ გედს და მის ამხანაგებს არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვთ უკიჟინონ მილერანს და, საზოგადოდ, რეფორმისტებს მათი ოპორტუნიზმი. და ეს იმისათვის, რომ ა) ამ რეფორმიზმს თითონ გედმა მოუმზადა ნიადაგი თავის მოღვაწეობით და მოქმედებით; ბ) თითონ გედი და მისი ამხანაგები მილერანზე უკეთესად ვერ იქცეოდნენ პარლამენტში მოღვაწეობის დროს. არ არის არც ერთი შეცდომა მილერანისა ისეთი, რომელიც გედს არ ჩაედინოს თავის დროს. თუ მილერანმა უარჰყო რევოლიუცია და რევოლიუციური სახსრები ბრძოლისა, გედმა ხომ უფრო ადრევე უარჰყო ყველა ეს. გედისტები არ იყვნენ განა, რომ სისტემატიურად აძლევდნენ ხმას ლ. ბურჟუას სამინისტროს, სწორედ ისე, როგორც ჟორესი, მილერანი და მათი ამხანაგები აძლევდნენ ხმას ვალდეკ-რუსოს და კომბის სამინისტროს? გედისტები არ იყვნენ, რომ შავი კენჭი ჩაუგდეს იმ წინადადებას პარლამენტში, რომელსაც აზრად ჰქონდა გაეუქმებინა წინა სესიის მიერ, კაზიმირ პერიეს წინადადებით, მიღებული კანონები, პრესსის და კრების თავისუფლების შესაზღუდავად მოგონილი? მერე რა მოსაზრებით მოიქცნენ ასე გედი და მისი ამხანაგები? ამ მართლა და რეაქციონურ კანონების გაუქმება ჩვენც გვსურსო,—ამბობდნენ ისინი,—მაგრამ ჩვენ იძულებულნი ვიყავით მათ გამაუქმებელ წინადადების წინააღმდეგ ჩაგვეგდო კენჭი, რადგან ეს საჭირო იყო ლ. ბურჟუას რადიკალურ სამინისტროს დაცემისაგან გადასარჩენადო. ეს სწორედ ის მოსაზრებაა, რომელსაც მილერანი და ჟორესი ხმარობდნენ თავის გასამართლებლად. როცა მილერანის მინისტრობის დროს შალონსა და მარტინიკაში გაფიცვის დროს ჯარმა მუშაბი დახოცა—დიდი ყაყანი ასტყდა, პარლამენტში დეპუტატები შეეკითხნენ მთავრობას ამ საქმის შესახებ მოგეხსენებათ, როგორ იმართლებს ხოლმე მთავრობა ამისთანა შემთხვევაში თავს. პარლამენტში ლაპარაკი იმით დასრულდა, რომ რესპუბლიკანურმა უმრავლესობამ და, მათ შორის, სოციალისტებმაც (ჟორესის ფრაქციამ) მთავრობას ნდობა გამოუცხადა. რისთვის? სწორედ იმ მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც გედი პრესის და კრების თავისუფლების შემზღუდველ კანონის გასაუქმებელ წინადადებას შავ კენჭს უგდებდა—რომ სამინისტრო ცუდ მდგომარეობაში არ ჩამდგარიყო და არ დაცემულიყო. ბურჟუა-რადიკალურ სამინისტროს დაცვა ამ „საქმის კაცთათვის“ უფრო საჭიროა, უფრო მაღლა სდგას, ვიდრე სოციალისტურ პრინციპების წმინდად შენახვა და დაცვა. გედისტები არ იყვნენ, რომ ჟორესისტებთან ერთად კენჭით უარი სთქვეს გაეუქმებინათ ის განსაკუთრებული დრაკონისებური კანონები, ანარქისტების ჩასაჩუმებლად შემოღებული ბურჟუაზიულ პარლამენტის მიერ, რომელთა ძალითაც შესაძლებელია ერთ ცოცხლად დაწერილ სტატიისათვის კაცის ახალ კალედონიაში გაგზავნა? გედის პარლამენტარულ ჯგუფის თაოსნობის დროს არ იყო, რომ მისმა ამხანაგებმა „საიდუმლო ფონდისათვის“ ფულის მიცემაზე თანხმობა განაცხადეს პარლამენტში კენჭით? ერთის სიტყვით, რა საქციელია ისეთი, რომელიც მილერანმა ჩაიდინა და გედს და იმის ამხანაგებს კი არ ჩაედინოთ მილერანზე უფრო ადრე? *)

პარლამენტარულ კრეტინიზმით საფრანგეთში ყველაზე უფრო ადრე გედი გახდა ავად და ეს საშინელი სენი, სოციალიზმისა და სარევოლიუციო სულის მომაკვდინებელი სენი, იმისგან გადაედო სხვებს. გედი არ იყო, რომ ეუბნებოდა მუშებს, კაპიტალიზმის სამგრეზე იერიში მეტად საჭირო არ არის, რადგან იმისი გასაღები ჩვენა გვაქვს ხელშიო? გედი არ იყო, რომ აცხადებდა პარლამენტში: „წარსულ სესსიის დროს ჩვენ ათზე ნაკლები ვიყავით, ეხლა 40 კაცი ვართ.*) თუ ასე ვიზარდეთ, 1897 წელს 160 ვიქნებით“-ო და ასე ამბობდა იმისათვის, რათა დაერწმუნებინა ბურჟუაზია, რომ იმის პარტიას მხოლოდ „ბურჟუაზიული ლეგალიზმი სჭიროდა და ჰყოფნიდა“ თავის მიზნის მისაღწევად. ამ ლეგალიზმით რომ პარტიას რაც შეიძლება უფრო მეტად ესარგებლა, აი როგორ იქცეოდა: „ამომრჩევლების მიმხრობა ერთად-ერთ თვალსაჩინო მიზნად გაიხადა პარტიამ და რომ ამ ამომრჩევლებს მოსწონებოდათ პარტია, მან შესაძლოდ სცნო დოქტრინის შეუბრალებელ ფანატიზმის მიმალვა. თუმცა რეფორმატორებს კიდევ დასცინოდა პარტია, მაგრამ თითონვე ამ რეფორმებს აყენებდა წინ. წარმოადგინეს პროექტი მოხუც მუშებისათვის პენსიის დანიშვნისა, რომელიც ჰგავს პროექტს, უარყოფილს გერმანიის სოციალდემოკრატიისაგან, იმ მოსაზრებით, რომ იგი ბურჟუაზიული სიყალბეა. იქამდის მივიდნენ, რომ სოფლის წვრილ მესაკუთრეებს დამშვიდება დაუწყეს 1896 წ. იცავდნენ ლ.-ბურჟუას სამინისტროს და რომ იგი ცუდ მდგომარეობაში არ ჩაეგდოთ, უარი სთქვეს ანარქისტების წინააღმდეგ არსებულ განსაკუთრებულ კანონების გაუქმებაზე“ *). დიახ, ყველა ეს ჩაიდინეს გედისტებმა, მარქსიზმის წმინდა და შეურყეველმა წარმომადგენლებმა. რა პირით, რა უფლებით უკიჟინებენ ისინი ჟორესს და მილერანს ოპორტუნიზმს. განა ჟორეს-მილერანს ნება არა აქვთ მოუყარონ თავი ყველა იმ შეურაცხმყოფელ, ტალახში ამოსვრილ სიტყვებს, რომელიც მათ გედმა უძღვნა, ამ სიტყვებისაგან ერთი კარგი თაიგული გააკეთონ და ისევ დაუბრუნონ გედს და „ძმათა მისთა“ ასეთის ზედ წარწერით: De te fabula narratur?

ვერც ერთი სოციალისტი ვერ დაიცავს პრინციპიალურ სიწმინდეს, თუ იგი პარლამენტარულ ნიადაგზე მოქმედებს. ყოველ მათგანის ისტორია ცალკე რომ განვიხილოთ, რომ გადავხედოთ აგრეთვე იმ წინადადებებს, რომელიც შეუტანიათ, თუ დაუცავთ პარლამენტში, დავრწმუნდებით, რომ მათ შორის არ მოიპოვება არც ერთი, რომელიც თავის რწმენას არ გადასდგომოდეს ამა თუ იმ შემთხვევაში, არ სწინააღმდეგებოდეს სოციალიზმის საზოგადო პრინციპებს, არ სწინააღმდეგებოდეს კლასთა ბრძოლის თეორიას, რომელიც სოციალიზმის ქვა კუთხედად ითვლება. რად უნდა ამოვიჩემოთ მარტო მილერანი და ჟორესი, რად უნდა ვაგინოთ და ვლანძღოთ მარტო ისინი, როცა ვხედავთ, რომ მათზე უფრო დამნაშავენი სხვანი არიან. ჩვენთვის ცხადია, რომ საფრანგეთში გედს, ლაფარგს და დევილს, გერმანიაში კაუტსკის, ბებელს და ლიბკნეხტს სოციალისტურ მოძრაობის ხასიათი არ დაემახინჯებინათ, არ გამოებერტყათ მათ პარტიიდან ყოველი სარევოლიუციო სული და გონება, ისეთი კაცები, როგორც მილერანი, ჟორესი, ვივიანი, ბრიანი და სხვანი საფრანგეთში, ფოლმარი, ჰეინე, დავიდი და სხვები გერმანიაში, არასოდეს არ შევიდოდნენ სოციალისტურ პარტიაში.

მილერანმა მხოლოდ ერთი რამ ჩაიდინა ისეთი, რაც გედს არ უქნია: მინისტრის პორტფელი მიიღო. განა ამისათვის აგრე გასაკიცხია, თუ იმის ქცევას განვსჯით არა ანარქისტთა თვალ-ხედვით ისრით, არამედ როგორც სოციალ-დემოკრატს? ჩვენ გვგონია—არა. თუ სახელმწიფოს ხელში ჩაგდება „მხოლოდ ლეგალურის იარაღით—საერთო საარჩევნო უფლებით“ არის მიზანი პარტიისა, ყოვლად შეუძლებელია პარტიამ ამ მიზანს ისე მიაღწიოს, რომ მას ერთხელ და ორჯელ არ მოუხდეს სამინისტროს გაზიარება სხვა ბურჟუაზიულ პარტიებთან, ისე როგორც რესპუბლიკანელი-პროგრესისტები ხშირად უზიარებენ სამინისტროს რადიკალებს და რადიკალები რესპუბლიკანელ-პროგრესისტებს, მაგალითად, თუნდ დღევანდელი სარიენის სამინისტრო ავიღოთ. სანამ სოციალისტური პარტია ისე პატარაა, რომ იმისი ასე თუ ისე მოქცევა ვერაფერ გავლენას იქონიებს სამინისტროს ბედ-იღბალზე, ის არც-კი ითვლება, მაგრამ როცა იგი ხდება დიდ საპარლამენტო ჯგუფად, რომელზედაც დამოკიდებულია ორიენტაცია საპარლამენტო უმრავლესობისა, მაშინ სამინისტროს არ შეუძლია საქმე არ იქონიოს ამ გვარ ჯგუფთან, რადგან უიმისოდ მას ცხოვრება არ შეუძლია. დღეს საფრანგეთის პალატაში სულ ორმოცდა-თორმეტამდე კაცია სოციალისტურ ჯგუფში, პალატაში-კი სულ ხუთას კაცზე მეტია, მაგრამ მიუხედავად ამისა ხან და ხან პარტიათა ძალები ისე იყოფა, რომ ხშირად სამინისტროს სვე-ბედი მხოლოდ სოციალისტებზეა დამოკიდებული. მაგალითად, კომბის სამინისტრო არა ერთხელ და ორჯელ გადაარჩინეს სოციალისტებმა, ფრაქციის განურჩევლად, დაცემისაგან. თუ ეს ასეა ეხლა, როცა სოციალისტთა რიცხვი ცოტა არის, რა იქნებოდა მაშინ, გედის სიტყვა რომ გამართლებულიყო და მართლა 1897 წ. 160 დეპუტატი გაეყვანათ პარლამენტში! მაშინ ხომ, თუ-კი ეხლანდელი დაყოფა პარტიებად დარჩებოდა, სოციალისტურ ჯგუფს დაუხმარებლად სამინისტრო ვეღარ იცხოვრებდა და ვერც თავის საკუთარ სამინისტროს იქონიებდა სოციალისტური ჯგუფი, რადგან 160 ხმა არ არის ამისთვის საკმარისი. ამ შემთხვევაში ან საფრანგეთი უნდა დაეტოვებინათ უმინისტროთ, ან სხვა პარტიასთან კოალიცია შეეკრათ და, მაშასადამე, მმართველობა გაეზიარებინათ და ან კიდევ თავისი სამინისტრო შეედგინათ, მაგრამ ისეთის პროგრამით, რომელსაც უმრავლესობა, დაახლოვებით 280 წევრი, პარლამენტისა მიიღებდა და არა მარტო 160 დეპუტატი. თუ ის ისურვებდა თავის სამინისტროს ყოლას, ამის ასრულება მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებლად, როცა იგი (სოც. ჯგუფი) უარს იტყოდა სოციალისტურ პროგრამის ნიადაგზე მოქმედებისას. ერთის სიტყვით, ასე განსჯით თუ ისე ამ საკითხს, იძულებული ხართ აღიაროთ რომ თუ-კი პარლამენტარიზმი გინდა, ლოღიკურად სამინისტროც უნდა გინდოდეს რადგან პარლამენტარიზმის იარაღი სამინისტროა და მხოლოდ სამინისტრო.

ეხლაც ასე იქცევა პარტია. სარიენის სამინისტროში ბრიანი შევიდა, როგორც კერძო პირი და არა როგორც პარტიის წარმომადგენელი. პარტია ვითომ სამინისტროში არ იღებს მონაწილეობას. ბრიანი აღარ არის პარტიის წევრიო, გამოაცხადეს ეს უბრალო ხრიკია და მეტი არაფერი

---

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 3027

*) იხილე ამ ფაქტების შესახებ ერთხელ უკვე ნახსენები წიგნაკი La vérité sur ennion socialiste.

*) ამ ორმოცში მხოლოდ სამი იყო მარქსისტი; რამდენიმეც ბლანკისტი იყო, დანარჩენნი სულ ჟორესის ტიპის სოციალისტები იყვნენ.

*) იხ. D. Hslevy. Essaic sur Ie movement onvrier en France p. p. 228 et 224.

რომ შარშან ამავე საგანზე კრებას დიდიანს არ ეთათბირა და, სხვათა შორის, ის გარემოებაც არ მიელო მხედველობაში, რომ საბჭოს გადატანა ეხლანდელს თავმჯდომარეს საბჭოსას იძულებულ გახდიდა თავის მოვალეობაზე უარი ეთქვა. აქედან დასკვნა აშკარაა—ეხლანდელი საბჭო სარგებლობს იმით, რომ თავმჯდომარეს საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიან და მის გაძევებისათვის საბჭო ქიათურაში გადაქვთ.

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი**, 19 მარტი. განზრახულია კავკასიაში გაიგზავნოს რკინის გზის ბატალიონი. ყველა გზების დიდ სადგურებზე განსაკუთრებული სამხედრო მატარებლები იქნება ზარბაზნებითა და ტყვიის მტყორცნელებით.

აქაურ გაზეთებს ატყობინებენ სევასტოპოლიდან, რომ სიკვდილით დასჯილ შმიდტის და მეზღვაურთა გვამები საფლავიდან ამოუთხრიათ და ზღვაში გადუგდიათ.

სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა დურნოვოს პროექტი ქალაქებში სამხედრო წესების დატოვების შესახებ.

17 მარტს დურნოვომ მეორედ გამართა ბრწყინვალე ბალი.

რუსეთის მომავალ პარლამენტის შენობაში მუდამ იდგომება ორი როტა ქვეითა ჯარისა და ყაზახთა ნახევარი სოტნა.

ჩერნიგოვის გუბერნიაში აგრარული მოძრაობა გამწვავდა.

პასუხის გებაში მისცეს ცენზორები, რომელთაც ნება დართეს ხულიგანურ პროკლამაციების გამოცემისა.

სემენოვის პოლკის სათადარიგო ჯარისკაცთ პეტერბურგში არავინ არ აძლევს ადგილებს.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ პირველს არჩევნებში, მთელს შიდა რუსეთში, კონსტიტუც.-დემოკრატებმა გაიმარჯვეს.

პობედონოსცევი სამუდამოთ სტოვებს პეტერბურგს.

ხმა არის, რომ მღვდელი პეტროვი დაუტუსაღებიათ.

ეპისკოპოსები ლეონიდი და კირიონი ამ დღეებში კავკასიაში მიემგზავრებიან.

## პრესსა

გამოვიდა სომხური ყოველდღიური გაზეთი „კეანქი“, რომელიც ჯერჯერობით, გამოვა კვირაში ერთხელ.

მოწინავე წერილში გაზეთი გვამცნობს მიმართულებას, რომელსაც იგი უნდა ემსახუროს:

> სხვაა ის ღმერთი, რომელსაც თაყვანსა სცემდენ და დღესაც სცემენ ყველა ლეგალური სომხური პერიოდიული გამოცემები და სულ სხვაა ის ღმე[illegible], რომელსაც უნდა ემსახუროს „კეანქი“.
>
> ერთად ერთი ალერსისა და მზრუნველობის საგანი, რომლის სახელით ლაღადებდნენ და ქადაგებდენ სომხური გაზეთები, იყო სომხის ერი, ყველა მისი ნაწილებით. რა ორგანოც არ უნდა დაასახელო, კონსერვატიულისა და კლერიკალურ გაზეთებიდან დაწყებული, ყველაზე უფრო რადიკალურის და პროგრესიულ ორგანოებამდი, გამოდიოდა სომხის ხალხის ქომაგად და დამცველად, მისი პირით მოლაპარაკედ. განსხვავება ამა თუ იმ გაზეთს შორის არსებობდა იმდენად, რამდენად ლიბერალიზმი განსხვავდება კონსერვატიზმისაგან. საქმით კი ყველა ჩვენებური ორგანოები ეკუთვნოდნენ ერთსა და იმავე ბურჟუაზიულ კატეგორიას, აღიარებდნენ ერთსა და იმავე ბურჟუაზიულ იდეოლოგებს, ხალხის ინტერესები და ნაციონალიზმი ამა თუ იმ ზომამდი იყო ყველა ამ გაზეთების ერთად-ერთი საგანი.
>
> სულ სხვაა „კეანქის“ რწმენის იდეალი. იგი თავისის სოციალ-პოლიტიკურისა და ეკონომიურის მისწრაფებებით, მთელის თავის არსებით, ეცდება იქნეს სომხის მდაბიო და მშრომელ ხალხის ინტერესთა და მისწრაფებათა დამცველად, მაშასადამე, იგი დაიჭერს სომხურ პრესსაში დღემდის უცნობ პოზიციას.
>
> ამნაირად, გამოდის რა პროლეტარიატის იდეალის მსახურად, ჩვენი ორგანო აღიარებს იმ სოციალისტურ მოძღვრებას, მარქსიზმს, რომელიც უკვე საკმაოდ განხილულია და შეურყეველ საფუძველზე აგებული და რომლის მოძღვრების განხორციელების ბუნებრივობა და აუცილებლობა საკმაოდ ნათლად არის დამტკიცებული. აღიარებს რა მარქსიზმს, „კეანქი“ ეცდება იყვეს ჭეშმარიტი გამომხატველი იმ პარტიის იდეალთა და რწმენისა, რომლის ნამდვილ საფუძვლად და მოღვაწეობის საყვარელ საგნად გამხდარა მარქსიზმი.

ამ ნაირად, „კეანქი“, როგორც სოციალ-დემოკრატიული ორგანო, კისრულობს მეტად მძიმე და იშვიათ როლსა და მოვალეობას სომეხ მშრომელ ხალხის წინაშე.

## სასამართლო

### გიორგი ბასილიას საქმე.

გურული გიორგი თომას ძე ბასილია ამ ერთი წლის წინ გამოქცეულა როგორც სალდათი მეხუთე სტრელკოვის ბატალიონიდან. მას თან გამოჰყოლია სამი სხვა სალდათიც. ეს გამოქცეულები მისულან გურიაში. ადმინისტრაცია ამ ოთხსავე კაცს თავგადაგლეჯილი ეძებდა, მაგრამ მხოლოდ გიორგი ბასილია შეჰპყრო, სხვები დღესაც ვერ უპოვნია. შეპყრობილი ბასილია პასუხის გებაში მისცეს. ოქმით მას ბრალდებოდა; 1. ბატალიონიდგან გამოქცევა, 2 მოკვლის განძრახვა აზნაურ შავარდნაძისა, ვითომ ამ ბასილიას თავის ამხანაგებით 29 ენკენისთვეს დაუხლია ორჯელ რევოლვერი ხსენებულ შავარდნაძესთვის.

სამხედრო სასამართლომ ამ საქმის განხილვა სამჯერ დანიშნა. ორჯელ გადასდო, რადგან მოწმეები არ გამოცხადდნენ, მესამედ არ გამოცხადდა უმთავრესი მოწმე ხოფერია. საქმე აღარ გადასდეს, ხოფერიას ჩვენება წაიკითხეს და ბასილიას რვა წლით კატორღა გადაუწყვიტეს. ეს საქმე განასაჩივრა ბასილიამ მთავარ სამხედრო სასამართლოში. ამ სასამართლომ ეს განაჩენი დაარღვია, ხელმეორედ გასარჩევად ისევ ოლქისავე სასამართლოში დანიშნა. სასამართლომ განიხილა საქმე. დაიბარა მოწმე ზემო აღნიშნული ხოფერია, რომელმაც ფიცის ქვეშ შემდეგი სთქვა: „მაგ საქმეში ჩემი ჩვენება სწორედ არა სწერია, აი რათა: როცა მაგ საქმეს იძიებდნენ, მე დამიბარა გამომძიებელმა მოწმედ. პოლიციის ბოქაული (ჩოხატაურის საზოგადოებისა) კოსტავა ჩემი კითხვის დროს იქ იყო. მე ყველაფერი სწორედ ვუჩვენე. ამ დროს ბოქაულმა და გამომძიებელმა ფეხები დაიბრაგუნეს, მცემეს და გამაგდეს და არც ჩემგან სწორედ ნაჩვენები ჩასწერეს. გავიდა რამდენიმე დღე, ისევ მომძებნეს და მიმიყვანეს. ჩემი ჩვენება როგორც მათ სურდათ, ისე ჩასწერეს, ხელი მომაწერინეს და გამომისტუმრეს ისეთისავე მუქარით და შეტუქსვით. ეხლა კი აღვიარებ, რომ ეს ჩემი ჩვენება სულ მათგანვე არის შეთხზული და მე საქმისა არა ვიცი-რა“.

სასამართლომ გადასწყვიტა: უდანაშაულოა ბასილია შავარდნაძის მოკვლის განზრახვაში, იგია დანაშაული მხოლოდ იმაში, რომ იგი გამოიქცა ბატალიონიდან და რადგან დიდხანს იყო დაპატიმრებული, შეპყრობილ უნდა იქნას მხოლოდ სამის დღით. საქმე საჯაროდ გაირჩა.

## საზღვარ-გარედ

### ინგლისის ახალი პარლამენტი.

სასტიკად დამარცხდნენ ინგლისის კონსერვატორები უკანასკნელ არჩევნებზე და დღეს პარლამენტში ბატონობა ლიბერალებს ეკუთვნით. გარდა ამისა პირველად გაჩნდა ბრიტანიის პარლამენტში დამოუკიდებელი პარტია მუშებისა. ამიტომაც არის, რომ მოქმედების დასაწყისშივე დღევანდელი პარლამენტი გარკვეულ პროგრესიულ გზას დაადგა. ამის დასამტკიცებლად საკმარისია აღნიშვნა ორის კანონ პროექტისა, რომელიც უნდა განიხილონ ამ სესსიაში.

როგორც ვიცით, პირველ-დაწყებითი სკოლა შედარებით კარგად არის მოწყობილი ევროპაში და ამიტომაც წერა-კითხვის არ მცოდნე იშვიათი მოვლენაა. მაგრამ რაკი სიღარიბე და გაჭირვება იქაც აწუხებს ხალხს, სკოლაში მოსწავლე ხშირად იძულებულია ადრე დაანებოს თავი სწავლას: მშობლებს თავი არა აქვთ არჩინონ ბავშვები და ისინიც ადრე უნდა შეუდგნენ ფულის შოვნის საქმეს. ინგლისის მუშა-დეპუტატებმა განიზრახეს დახმარება აღმოუჩინონ ასეთ უმწეო მოსწავლეთათვის და კანონ-პროექტი წარუდგინეს პარლამენტს - ღარიბ ხალხის შვილებს საუზმე სახელმწიფომ აჭამოსო. ეს საკითხი პირველად არ არის წამოყენებული, მაგრამ წინანდელ სამინისტროს სოციალისტობად მიაჩნდა ასეთი ღონისძიება და აქამდე განხორციელება არ ეღირსა. დღეს კი თითქმის ყველა დეპუტატები თანაგრძნობით შეხვდნენ კანონ-პროექტს და მოკლე ხანში იგი განხორციელებულიც იქნება.

მეორე კანონ პროექტი ბევრად უფრო საყურადღებოა. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ჩარლზ დილკი დიდი მომხრეა კაცთა და ქალთა უფლების გათანასწორებისა და, რაკი ეხლანდელი პარლამენტი, წინანდელზე ბევრად უფრო რადიკალურია, კანონ-პროექტი წარუდგინა ხალხის წარმომადგენლებს—ქალებსაც ისეთივე პოლიტიკური უფლებანი უნდა მიენიჭოს, როგორც კაცებსაც აქვსო.

არც ეს საკითხია ახალი ინგლისის პარლამენტისათვის.—არა ერთხელ ჰქონიათ ბჭობა ამ საგანზე, მაგრამ დიდი უმრავლესობა ყოველთვის წინააღმდეგი ყოფილა ამ მეტად დიდმნიშვნელოვან რეფორმისა. დღესაც არ არის მოსალოდნელი ამ რეფორმის განხორციელება; თუმცა, როგორც ნათქვამი იყო ზემოდ, დღევანდელი პარლამენტი სულ სხვა სურათს წარმოადგენს, ვიდრე წინანდელი: ჯერ ერთი ის არის მხედველობაში მისაღები, რომ ერთობ ძლიერი ტრადიცია, ძველ მსოფლმხედველობის გავლენა; მეორეც ის, რომ ქალთათვის პოლიტიკურ უფლების მინიჭება პირდაპირ დაკავშირებულია საზოგადო საარჩევნო რეფორმასთან; დღემდე ინგლისში არ არსებობს საყოველთაო საარჩევნო უფლება. მართალია, ფაქტიურად ინგლისის საარჩევნო კანონი უახლოვდება საყოველთაო საარჩევნო უფლებას, მაგრამ მაინც ეს უფლება არ არსებობს და სწორედ ამიტომ ჯერ ეს უნდა დაკანონდეს, რომ ქალების პოლიტიკური უფლებანი იქნეს აღიარებული. ის კი ეჭვს გარეშეა, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებისთანავე ქალებიც გაუთანასწორდებიან კაცებს.

## რუსეთი

**არჩევნების შედეგი.** ქალაქის საარჩევნო კრებებზე, გაზეთების ანგარიშით, რუსეთის სხვა და სხვა ადგილიდან სულ 133 წარმომადგენელი აურჩევიათ, ამათში 45 კაცს (16 ებრაელია) გარკვეული მიმართულება არა ჰქონია. კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის კანდიდატი გავიდა 51, საზოგადოდ პროგრესსიული მიმართულებისა—2,—„7 ოქტომბრის კავშირისა“—18, სავაჭრო-სამრეწველო პარტიისა—8, „რუს ხალხთა კავშირისა“—1, საზოგადო მემარჯვენე პარტიების თანამგრძნობნი და პარტიათა გარეშე მყოფნი—8, ამ გვარად გამარჯვება კონსტიტუც.-დემოკრატიულ პარტიის დარჩენია.

მიწათ-მფლობელთა კრებაზე აირჩიეს ჯერჯერობით 102 წარმომადგენელი. ამათგან 27 კაცის მიმართულება არ არის გამორკვეული. კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის წევრი—31-ია; პროგრესსიულ მიმართულების—3; „17 ოქტომბრის კავშირისა“—15; „უფლებრივ წესიერებისა“—3; კონსტიტუციონალ მონარქისტებისა—5; მემარჯვენეთა—9; მონარქისტთა—2; პოლონელ ნაციონალისტთა—7; აქ მემარცხნე და მემარჯვენე პარტიებს ჯერ-ჯერობით თანასწორი ძალა აქვთ. თუ ცალკე პარტიას ავიღებთ, აქაც უმრავლესობას კონს.-დემოკრატები შეადგენენ.

**მინისტრთა საბჭოში.** მინისტრთა საბჭოში შემდეგი ამბავი მომხდარა: საეროგანათლების მინისტრს ტოლსტოის განუცხადებია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელენი იარაღს ურიგებენ შავრაზმელებსაო. ამაზედ დურნოვოს უპასუხნია, რომ პროფესსორები რევოლიუციონერებს ურიგებენ იარაღსაო. ბოლოს საქმე იქამდე მისულა, რომ ორივე მინისტრს უთქვამთ, საბუთებს წარმოვადგენ ჩემის სიტყვების დასამტკიცებლადაო.

**მოსკოვის ბანკის გამძარცველთა ვინაობა.** „პეტ. ლის.“-ს აუწყებენ, რომ რომ მოსკოვის საურთიერთო კრედიტის ბანკის გამძარცველთა ვინაობა ირკვევა: დანამდვილებით გამოურკვევიათ, რომ გაძარცვა რევოლიუციონერების საქმეაო. ამ საქმის ნამდვილი მონაწილე ჯერ არავინ არ დაუჭერიათ.

**დაპატიმრება პეტერბურგში.** ქ. პეტერბურგში, გაზეთების სიტყვით, წარსულ კვირას 250 კაცი დაუპატიმრებიათ. ამათგან უმრავლესობას მუშები შეადგენენ. დანარჩენნი—ინტელიგენტები, სტუდენტები, კურსისტი ქალები და 3 ლიტერატორია.

**სამხედრო ორგანიზაციის საქმე.** ოდესსიდან „ვეჩ. გოლ.“-ს ატყობინებენ, რომ მალე გაირჩევა საქმე 12 კაცისა, რომელთაც ჰბრალდებათ სამხედრო სარევოლიუციო ორგანიზაციის წევრობა.

**ვინ იქნება ვიტტეს მოადგილე?** „პეტ. გაზ.“ ამბობს, რომ ვიტტეს გადადგომის შემდეგ პრემიერად კოკოვცევი-კი არა, წინანდელი იუსტიციის მინისტრი მურავიოვი დაინიშნებაო. ბიუროკრატიულ წრეებში ფიქრობენ, რომ მურავიოვმა უკვე საკმაოდ დაისვენა საზღვარ გარეთ და ეხლა განახლებულის ძალით მიჰყოფს ხელს „სახელმწიფოს მართვასაო“.

**საპატიმროების რეჟიმი.** მთელს რუსეთში პატიმართ ისე სასტიკად ინახავენ, რომ დიდძალი პატიმარი შეშლილა და ავად გამხდარა. კიევის ციხეში ამას წინად დაპატიმრებული ტელეგრაფისტი ჭკუაზე შემცდარა. მეორეს იქავე ნერვების ავადმყოფობა გასჩენია.

**ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება.** მაქსიმ გორკის დაუწერია ახალი რომანი რუსეთის თანამედროვე ცხოვრებიდან. ეს რომანი, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, გამოვა ქ. ჟენევაში ფრანგულს ენაზე. ასეთია რუსეთში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება!

ქ. კიევის გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მისცა პროგრესსიულ გაზეთებს, არა დასწერონ-რა შმიდტის სიკვდილით დასჯის შესახებ.

**შლისელბურგის საპყრობილე.** ამას წინად გაუქმებული შლისელბურგის საპყრობილე, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, ხელახლად უნდა საპყრობილედ გადაიქცეს, რადგან რუსეთის მთავრობას საპყრობილეები არა ჰყოფნის პოლიტიკურ პატიმართათვის.

**გერშუნი არ დაღუპულა.** ამას წინად ხმები გავრცელდა, რომ ცნობილი პოლი-

---

ბრიანი პარტიის წევრი არ არის, მაგრამ მას პარტიის ხმები, კენჭები-კი აქვს. სამინისტროსათვის სულ ერთია, ბრიანი წევრია პარტიისა თუ არა, მას სოციალისტთა ჯგუფის ხმები, კენჭები სჭიროდა და ბრიანისთვის პორტფელის მიცემით მან ეს ხმები, კენჭები მოიპოვა. ამ ნაირი ქცევა სოციალდემოკრატიულ პარტიისა ამტკიცებს, რომ მისი ტაქტიკა რაღაც მოწინააღმდეგე, უკუღმართ პრინციპზეა დამყარებული. ის ოფიციალურად არ იღებს მონაწილეობას სამინისტროში, ოფიციოზურად-კი იღებს. ოფიციალურად არ უნდა იყოს მინისტერიალისტი, ოფიციოზურად-კი მინისტერიალისტია. ეს ვულგარული, ბავშური პოლიტიკაა, რომელიც ვერავის ვერ ატყუებს, რომლის სისუსტე კარგად დაინახეს ბურჟუაზიულმა პარტიებმა და კიდეც სარგებლობენ ამ პოლიტიკურ ორჭოფობით. ეს ორჭოფობა ძალიან უყვართ ჩვენ სოციალდემოკრატებს, ამ ორჭოფობის დარღვევისათვისაა სწორედ, რომ აიძულეს მილერანი სოციალისტურ პარტიიდან გასულიყო. რა აიძულებთ სოციალდემოკრატთ, იორჭოფონ? პროლეტარიატის მუდმივი და ინსტიქტიური ოპოზიცია ყოველგვარ მთავრობისადმი. პროლეტარიატი არ ადგება და ვერც დაადგება მინისტერიალიზმის გზას, ამისათვის პარტია პირდაპირ მინისტერიალისტი თუ გახდა, იგი დაჰკარგავს შინაარს და ძალას, ამისათვის მინისტერიალისტად არა ხდება, მაგრამ მისი ტაქტიკური პრინციპის შინაარსი ისეთია, რომელიც მძლავრის ხელით მიაქანებს მინისტერიალიზმისაკენ. ასეთ ორ ცეცხლშუა იწვის სოციალდემოკრატია და რომ, ცოტა არ იყოს, საქმე გაიადვილოს მალულობის თამაშობს: ჩუმათ, „კონტრაბანდით“ გაჰყავს მინისტერიალური ტაქტიკა.

თუ მილერანის შეცდომა—პორტფელის მიღება—შეცდომაა, იგი აღიარებული უნდა იქნას მთელ საერთაშორისო სოციალდემოკრატიის შეცდომად. ბელგიაში ანზელმა, პარტიის ერთმა ბუმბერაზთაგანმა, მილერანზე უფრო ადრე განაცხადა სურვილი სამინისტროში მონაწილეობის მიღებისა და არა რესპუბლიკანურ, არამედ მონარქიულ ქვეყანაში. რად არ აყაყანდნენ მაშინ? იმისთვის, რომ ცდა კიდევ არ იყო განხორციელებული და არ იცოდნენ, რა შედეგი მოჰყვებოდა სოციალისტის მინისტრობას. როცა მილერანი მინისტრად გახდა, პარტიას ნიღაბი მოეხსნა, მისი ნამდვილი სახე დანახულ იქმნა და იმის გაკოტრების დღეც დადგა. ამისთვის არის, რომ ასტეხეს აღიაქოთი. თავში მილერანსაც არ ეპყრობოდნენ ისე უარყოფითად, სულ განაბულნი იცდიდნენ - ვნახოთ, მოინელებს თუ არა მუშების კუჭი სოციალისტის მინისტრობასაო.

1900 წ. სანამ კონგრესი გაიხსნებოდა, რომელსაც უნდა გაერჩია ის საკითხი, შეუძლია თუ არა სოციალისტს შევიდეს სამინისტროში, სოციალისტურმა გაზეთმა la Petite Rèpublique-მ მიმართა ცნობილ სოციალისტებს ამავე კითხვით. როცა პასუხებს ვათვალიერებთ, ვრწმუნდებით, რომ უმეტესი ნაწილი ცნობილ სოციალისტთა ვერ სწყვეტს ამ საკითხს უარყოფითად.

ჰოლანდიის სოციალდემოკრატიის წარმომადგენელი და მისი მოთავე ვან-კოლი ამბობს: „ჩვენი პროგრამა მინიმუმის მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება არ შეიძლება ისე, თუ სოციალისტებს არ ექნებათ ხელში ერთი ნაწილი მაინც სამართველო ძალისა (pouvoir gouvernemental)... ერთად კი ვერ ჩავიგდებთ ხელში მმართველობას, მმართველობას ხელში ჩავიგდებთ ნელ-ნელა, მაგრამ მუდმივად დაჭერით ბურჟუაზიულ ელემენტების ადგილებისა მუშათა ელემენტებით. ამ ნაირად გავხდებით ჩვენ მმართველ კლასად და ჩვენი იდეია იმეფებს სახელმწიფოში“. ქ-ლ. ბერტრანი (ბელგიელი): „სამინისტროში შესვლაზე უარის თქმა იმ მოსაზრებით, რომ მთელი სამინისტრო არ არის სოციალისტური, ისეთივე სისულელეა, როგორც უარის თქმა პარლამენტში ან სამოქალაქო საბჭოში შესვლაზე იმ მოსაზრებით, რომ უმრავლესობას არ შევადგენთო“. ასე უხეშურად მილერანსაც არასოდეს არ ულაპარაკნია თავის მინისტრობის სურვილზე. ბებელი იმავე ანკეტაში აცხადებდა, რომ ხან შეუძლია დასთანხმდეს სოციალისტის ბურჟუაზიულ სამინისტროში შესვლას, თუ ამგვარ ქცევას რაიმე სპეციალისტური მიზანი აქვს და ისიც პარტიის ნება-რთვითაო. კაუცკი აცხადებს: „არ შემიძლია დავიჯერო, რომ კლასთა ბრძოლა უკრძალავს სოციალისტს ბურჟუაზიულ სამინისტროში შესვლას, როგორიც უნდა იყოს პირობებიო“. ვანდერველდი აღიარებს: „თუ კი იმას აღვიარებთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატიის ინტერესები თხოულობს კომპრომისებს მივმართოთ, ვქონიოთ კოალიცია და კავშირები (alliances), შეუძლებელი ხდება დავიჯეროთ a priori, რომ არასოდეს, რაც უნდა იყოს, სოციალისტს არ შეუძლია მიიღოს ნაწილი სამინისტრო ძალისა“. გ. პლეხანოვი აგრეთვე არ იყო წინააღმდეგი სოციალისტის ბურჟუაზიულ სამინისტროში შესვლისა, თუ ამგვარ ყოფას შედეგად ექნებოდა თანამედროვე საზოგადოების დაშლის აჩქარება (dissoeition de la societè actuelle).

აი აზრი ინგლისელ სოციალ-დემოკრატიის ბელადის ჰაინდმანისა: „არავინ, გარდა ანარქისტებისა, უარს არ ამბობს შევიდეთ სადაც შეიძლება მუნიციპალურ საბჭოებში. რაკი ერთხელ იქ იქმნებიან, სოციალისტებს არ შეუძლიათ არ მიიღონ მონაწილეობა საადმინისტრაციო საქმეში, და ეს თავის მტერთან ერთად, ბურჟუაზიასთან. სოციალისტი მერები, რამდენადაც ვიცი, არიან საფრანგეთში. ისეთებიც არიან, რომელნიც ფრანგ. მუშათა პარტიის (გედისტები) ეკუთვნიან. ინგლისში ჩვენ გვყავს სოციალისტი aldermen-ები (მერი) და მუნიციპალიტეტის წევრები. მათი მოვალეობაა, ეს ცხადია, იხმარონ ის ძალა, რომელიც მათ აქვთ ხელში, რამდენადაც შესაძლებელია, მუშათა ეხლანდელ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მოამზადონ ხვალინდელი სრული გარდაქმნის საქმე (Reconstruction de demain). ამასთანავე არ უნდა დაივიწყონ, რომ, როგორც დაჩაგრულების წარმომადგენლებმა, მათ ყოველი ღონე უნდა იხმარონ მოიპოვონ ყველა ის, რაც საჭიროა შემდეგშიაც კლასთა ბრძოლისათვის. მე არა მგონია, რომელიმე ინგლისელი სოციალისტი წინააღმდეგი იყოს იმისა, რომ ჩვენ ავირჩიოთ სოციალდემოკრატი ლონდონის ლორდ-მერად, თუ შევიძლებთ“. აგრეთვე შვეიცარიის სოციალ-დემოკრატები, თითქმის ყველანი, რობერტ-ბლატჩფორდი, ტომ მანი და სხვები ფიქრობდნენ, რომ სოციალისტის ბურჟუაზიულ სამინისტროში შესვლა შესაძლებელია. მათი აზრი არ მოგვყავს იმისათვის, რომ ზემო მოყვანილ აზრების უბრალო გამეორება იქმნება. უფრო საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ მეორე ჰოლანდიელ ბელადის ტრესტრას აზრი, იგი ერთობ დიდ-მნიშვნელოვანია: „ისტორიულ მატერიალიზმის მიხედვით იდეოლოგიური სფერა არის გამოშუქება ეკონომიურ დასაბამისა. ჩვენ არ შეგვიძლიან ხელიდან წავუვიდეთ ჩვენივე თეორიის შედეგებს. ინდივიდუალ წარმოებას დანგრევამ და სოციალისტურ წარმოების პროგრესმა უნდა ნახონ თავიანთი გამოხატულება საკანონმდებლო ორგანოებში (se reflécter dans les organes eégislatits), ე. ი. უნდა თვალსაჩინო იქმნას თანდათანი დაცემა ბურჟუაზიის პოლიტიკურ ძალისა და თანდათანი დაჭერა პროლეტარიატის მოზარდ ძალის მიერ მისი ადგილისა კლასთა ბრძოლაში, ისე როგორც სხვა შემთხვევაში, რამდენიმე კერძო გამარჯვება საჭიროა საერთო გამარჯვებისთვის; ცხადია, რომ სოციალისტური პარტია, რაც უფრო იზრდება მისი ავტორიტეტი, მით უფრო მეტის ძალით დაყენებულ იქნება შემდეგი ალტერნატივის წინ: ან მიაგდოს თავის ნებაზე ბურჟუაზია, რომ მან განაგოს, როგორც სურს, ან და თითონ დაიჭიროს ის ადგილი, რომელიც მისი ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობისამებრ მას ეკუთვნის“. *)

ასეთი იყო და არის კიდევ საერთაშორისო სოციალდემოკრატიის წარმომადგენელთა აზრი სამინისტროს ნაწილ ნაწილად ხელში ჩაგდებისა. ჩვენ კიდევ სოციალდემოკრატიის უკეთეს წარმომადგენელთა აზრები მოვიყვანეთ, ადვილი წარმოსადგენია, როგორი უნდა იყოს აზრები ისეთის სოციალდემოკრატებისა, რომელთაც დიპლომატია არ იციან კარგად და ვერ არჩევენ რის თქმა შეიძლება და რის დამალვაა საჭირო. ყველა ზემოდ მოყვანილ აზრიდან ცხადად გამოდის ის დასკვნა, რომ სოციალდემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენელნი არასოდეს არ ყოფილან პრინციპიალურად წინააღმდეგნი სამინისტროს ხელში ნაწილნაწილად ჩაგდებისა. ბევრი მათგანი, პირიქით, როგორც სჩანს ზემო მოყვანილ ციტატებიდან, მაგალითად, ვან-კოლი, სიამოვნებით ფიქრობდა მინისტრობაზე. ზოგი (მაგ. ტრესტრა) ისტორიულ მატერიალიზმში ეძებს საბუთებს თავის მინისტერიალიზმის გასამართლებლად და, ვგონებთ, ცუდადაც არ იქცევა. ასე, ინგლისსა, ბელგიასა, ჰოლანდიაში და სხვაგანაც იყვნენ და დღემდის არიან „მილერანისტები“. ეს „მილერანისტები“ მილერანისაგან იმით განირჩევიან, რომ ისინი პატივცემულნი არიან, ხელმძღვანელათ არიან აღიარებულნი სწორედ იმ თეორიისათვის, რომლისთვისაც მილერანი იძულებულ იქმნა პარტიიდან გამოსულიყო. მინისტერიალიზმის ცდა საჭირო იყო პარტიისათვის, მილერანი ამ ცდას შეეწირა ზვარაკად. ეხლა პარტიამ იცის, როგორ უნდა მინისტერიალიზმის საქმეს დაყენება—იგი უნდა იყოს არა ოფიციალური, არამედ ოფიციოზური. მილერანი პარტიიდან გავიდა, მაგრამ „მილერანიზმი“ არ დამარცხებულა, ის კი არა, მთელი პარტია შეიქნა მილერანისტი, თუმცა ამ ბოლო დროს რევოლიუციონერიზმის სამოსით შემოსა. მაგრამ ამაზე მერე. ჯერ გავარჩიოთ დრეზდენის და ამსტერდამის კონგრესსების რეზოლიუციები ამ საკითხის შესახებ.

კ. ორ—იანი.

**შეცდომის გასწორება.** წარსულ ფელეტონში (სოციალდემოკრატია და მუშათა მოძრაობა VII) აზრის დამახინჯებელი რამდენიმე შეცდომაა შეპარული.

1. მესამე სვეტზე მე-6 სტრიქონში დაბეჭდილია—აღუდგნენ—უნდა იყოს არ აღუდგნენ.
2. მეოთხე სვეტზე მე-32 სტრიქონში ფრჩხილებს შემდეგ აკლია შენიშვნის ნიშანი, რომლითაც მოხსენებული უნდა იყოს წყარო—იხ. Eclaire 15 მაისის 1896 წ.
3. მეექვსე სვეტის უკანასკნელი სტრიქონი ტექსტში: „ან აჟუჟუნებს სარევოლიუციო ფრაზებით“ გადატანილი უნდა იყოს მეშვიდე სვეტზე და უნდა მიჰყვეს მეთერთმეტე სტრიქონს.

---

*) ყველა ამ ციტატების შესახებ იხ. Petite Rèpublique 1900 წ. ხსენებული წიგნი ე. მილოსი და Leon Parsons. Le cas Millerand. Paris 1900.

ტიკური პატიმარი გერშუნი, რომელიც ეხლა მოსკოვში ბუტირკის საპყრობილეში ზის, ცეცხლის წაკიდების დროს დაიწვაო. როგორც ეხლა თვით გერშუნის ძმისაგან გაუგიათ, ეს ხმა ტყუილი ყოფილა. როცა ბუტირკის საპყრობილეს ცეცხლი წაჰკიდებია, გერშუნი იქ არა ყოფილა, იგი ავად იყო და საპყრობილის საავადმყოფოში იწვა.

* * *

# დეპეშა

### პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

17 მარტი

**ლანსი.** მადაროების ნანგრევებიდან ამოყვანილმა მუშამ შემდეგი გვიამბო: აფეთქებამ ძლიერ ამაღელვა, გავიქეცი უშიშარ ადგილის საძებნელად და წავაწყდი 50-მდე მკვდარ ამხანაგებს, ერთად მოგროვილს. შემდეგ გავძვერი უფრო უშიშარს და მაღალს ადგილას, სადაც 12 ამხანაგი დამახვდა. იმათ მე მხსნელი ვეგონე და სასოწარკვეთილებას მიეცნენ, როცა გაიგეს, რომ მეც იმათსავით ცოცხლათ ვარ დამარხული. დრო ვიცოდი და არ ვივიწყებდი საათის მომართვას. ვიკვებებოდით თივით, ხის ტყავით, ხით, შვრიით და მკვდარ ცხენების ხორცით. ვსცდილობდით, როგორმე გამოვსულიყავით. წყალს ვსვამდით ჩვენივე მათარებიდან (фляжка). გუშინ ვიგრძენით წმინდა ჰაერი და გავიწიეთ იქითკენ და ცოტა ხნის შემდეგ მაღლა ასასვლელ კიბეთასაც წავაწყდით“. მთელი ცდა ექიმისა იქითკენაა მიმართული, რომ მოსპოს ცუდი საჭმლის შედეგი, თორემ შეიძლება გადარჩენილთ ინფექციური ანთება გაუჩნდეთ. ექიმს იმედი აქვს ავადმყოფების მორჩენისა.

**პეტერბურგი.** მსხვილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს: ტრასში—საერობო გამგეობის თავმჯდომარე, საერობო ექიმი—კადეტი, გუშარი—ლიბერალი და გლეხი; დრესაში—2 გლეხი და 3 მებატონე—ყველანი დამოუკიდებელნი არიან; ნოვგოროდში—გუბერნიისა და მაზრის მარშლები, ფაბრიკანტი, მღვდელი და გლეხი; ვიაზნიკში—ფაბრიკანტი; ქალაქებიდან აირჩიეს: დროსში კადეტი, მალოარხანგელსკში—ქალაქის სტაროსტა—მემარჯვენე; კარაჩევიაში—ვაჭარი—მემარჯვენე; კრომში—ვაჭარი—ოქტომბრისტი.

**პეტერბურგი.** ქალაქებიდან აირჩიეს: იურიევეც-პოდოლსკში—ვაჭარი და სამოქალაქო—ორივე ოქტომბრისტია; ვიტებსკში—5 კადეტი; ტიხვინში—მაზრის მარშალი; პრუჟანში—რაბინი; ოშმიანში—გრაფი გეიდენი—ოქტომბრისტი; ბრიანსკში—ექიმი, ხარჯთაღრიცხვის ინსპექტორი, ნაფიცი ვექილი და სტამბის პატრონი—ყველანი კადეტები; პეტერგოფში—ერთი კადეტი; ცარსკოე სელოში—4 კადეტი; ველიკი უსტიუგში—ვაჭარი და მეშჩანი—მონარქისტები; სუმში—ხარიტონენკო; ვალკში—ქალაქის სტაროსტა—მონარქისტი; მოგილევში—3 ებრაელი. მსხვილ მემამულეთაგან: სამოჯკაში—საერობო უფროსი, თავმჯდომარე საერობო გამგეობისა, ყოფილი მარშალი—მონარქისტი, მამულის მოურავი კადეტი და გლეხი.

**პარიზი.** ირწმუნებიან, მუშების გადარჩენას რომ აღრე მისდევდნენ, იმდენი მსხვერპლი არ იქნებოდაო. ბრალს გაფიცვის აგიტატორებს სდებენ, რომელნიც არ ანებებდნენ მხსნელთ მადაროებში ჩასვლასო (?).

**თეირანი.** სპარსეთის ექიმმა, ფანატიკოსმა კუჯომამ სეისტანის მცხოვრებლები ევროპის ექიმების წინააღმდეგ აუჯანყა. ბრბომ დაანგრია საავადმყოფო, სადაც ექიმებმა ავადმყოფები გადიყვანეს და ინგლისის საკონსულოს დაეცა. ამბობენ კონსულსა და ექიმს ჯოხებით სცემესო. დამლაგები რუსეთის კონსულმა და კაზაკებმა გადაარჩინეს. ამაში ბრალს ხორასნის გუბერნატორს სდებენ, რომელიც წინააღდგა მთავრობის განკარგულებას და თავისი ნებით გაგზავნა ეს ფანატიკოსი სპარსელი სეისტან იმის დასამტკიცებლად, რომ არავითარი შავი ჭირი არ არსებობს და ყველაფერს ევროპიელი ექიმები იგონებენო.

**ლანსი.** გაფიცულები დაეცნენ ერთს მადაროს მუშას, მუშაობიდან შინ დაბრუნებისას. ამ მუშამ ორჯერ ესროლა და დასჭრა ერთი დამცემთაგანი.

18 მარტი.

**პეტერბურგი.** წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს: მაკაროვ-კოევისში 15 გლეხი, 2 მეშჩანი, ჩეხი კოლონისტი; ვილნოში—კათოლიკე ეპისკოპოზი, 3 ქსენძი, აზნაური; შჩუჩინში—6 ქსენძი, აზნაური, 3 გლეხი, ვასილიშკში—2 ქსენძი, 4 აზნაური და გლეხები. მსხვილ მემამულეთა კრებებზე: ზმიევსკში—2 საგუბერნიო ხმოსანი, საერობო უფროსი და აზნაური; კიშინევში—4 გლეხი, 2—მღვდელი და 2—აზნაური. ქალაქის კრებებზე; სლავიანსკში—ვაჭარი, საერობო უფროსი—კადეტი; სტარობელსკში—3 პროგრესისტი; იზიუმში—ქალაქის თავი, საერობო გამგეობის თავმჯდომარე და წევრი, საერობო უფროსი—ყველანი კადეტები.

**ვარშავა.** ორდინაცკის ქუჩაზე სახლის მოურავს პეტრუშევსკის სადამოთ შეუვარდა 3 შეიარაღებული უცნობი პირი, წაართვეს ყუთიდან 572 მან. და მიიმალნენ. სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა მუშა კანარჟევსკის, რომელმაც პატრულს რევოლვერი ესროლა.

**ლონდონი.** „დეილი-ტელეგრაფ“-ს ძლიერ სარწმუნო წყაროები აცნობებენ კაიროდან, ოსმალეთს ჯარი გადჰყავს აკაბიდან. ალბათ ინგლისსა და ოსმალეთს შორის მოისპობა ამ მუხლის შესახებ ჩამოვარდნილი უთანხმოებანი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა თ. ურუსოვმა სამსახურიდან გასვლის ქაღალდი შეიტანა. მას სურს თავისი კანდიდატურა წამოაყენოს სახელმწიფო სათათბიროს წევრობაზე კალუგის გუბერნიიდან.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა წინადადება მისცა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების პატრონებს დაკეტონ ხოლმე იგინი 20 მარტს, არჩევნების დღეს.—მუშებისაგან აირჩიეს: ტამბოვს—3 ამომრჩეველი პარტიის გარეშე მდგომნი; გლეხებისაგან; ტიგრაში—კადეტი, 2 პროგრესისტი, 2 გლეხი—პარტიის გარეშენი; ბელგოროდში—ორი კონსერვატორი გლეხი.

**ბერდიჩევი.** ღამით 20 უცნობი დაეცა შაპიროს ბინას, წაიღეს 3,000 მან და ბევრი ბრილიანტეულობა და სხვა ძვირფასი ნივთები.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის გაზეთების ცნობა, ვითომც ვიტტე ავად იყოს, სრულიად მოკლებულია სიმართლეს. გრაფი ვიტტე სრულიად კარგათ გრძნობს თავს.

**ჩიტა.** დაიჭირეს სამხედრო სამმართველოს თავმჯდომარე, პოლკოვნიკი გოლოვკინი, აგრონომი ვოლკოვი, ტყის მცველნი ზოლოტუხინი და ბელოზეროვი, იურისკონსულტები—ტიტენოვი და ტოკმაკოვი—ალბათ სამხედრო კავშირის შესახებ საქმეზე.

**ალჟესირასი.** საბოლოო შეთანხმება მოხდა ყველა კითხვებში. სადამოს დანიშნულია სხდომა ოქმის მისადგენად.

**ვერხოლენსკი.** (ირკუტსკი გუბ.) ადგილობრივი ქალაქის სასწავლებელი დაიხურა. დაიჭირეს 3 მასწავლებელი, დიაკონი, ბეთად-ექიმი და რამდენიმე გლეხი.

**პეტერბურგი.** მემამულეთა კრებაზე აირჩიეს კორჩევში—აზნაური, პროგრესისტი და ორი გლეხი; ბოროვიჩში—5 მღვდელი, 3 ქსენძი, 4 აზნაური ებრაელი მემამულე, დანარჩენი გლეხები და მეშჩანები; ვილკომირში ამომრჩევლებად აირჩიეს: 4 მსხვილი მემამულე და ქსენძი; ტელშაში—3 მემამულე პოლონელი და ქსენძი; ოსტრაში—3 აზნაური, 5 მღვდელი, ექიმი, სოფლის მასწავლებელი, 2 აზნაური, ვოლოსტის მსაჯული, 2 მეშჩანი, 25 გლეხი კაზაკი და ებრაელი; იზმაილში—6 მემამულე—ზომიერები; ოშმიანში—მღვდელი, მულა, 17 ქსენძი, 3 მეშჩანი, 37 აზნაური და 9 გლეხი. ქალაქის კრებებზე: იაროსლავში—2 მასწავლებელი მღვდელი, მექანიკოსი, ექიმი და ფაბრიკის დირექტორი—ყველა კადეტები; სკვირში—ქალაქის ექიმი. სახელმწიფო რივინი, ვაჭარი—ყველანი ებრაელები არიან; იზიუმში: ქალაქის თავი. საერობო გამგეობის თავმჯდომარე და წევრი, საერობო ექიმი; კუპიანსკში—ვაჭარი, ექიმი—პროგრესისტი, ოსტროგში ამომრჩევლებად: კანტორის გამგე—პროგრესისტი; ნეველში—ებრაელი ექიმი. კადეტი და როსტოვში—4 პროგრესისტი.

**იაროსლავი.** „სევერნაია გაზეტა“ შეაჩერეს სასამართლოს განჩინებამდე.

**პეტერბურგი.** ოფიციალური. მინისტრთა საბჭომ განიხილა მიწათმოქმედების მთავარ სამმართველოს წინადადება 1906 წ. მიწის საკითხის გადამწყვეტ კომისიების და მცხოვრებთათვის კრედიტის გადადების შესახებ. განზრახულია დაუყოვნებლივ დაარსონ კომისიები 300 მაზრაში. ამათში 240-ში განსაკუთრებით საგლეხო ბანკისთვის დასახმარებლად. საჭირო კრედიტი 1,300,000 მან. უდრის, მცხოვრებთათვის გადადებულია ნახევარი მილიონი მან. განზრახულია დახლოვებით, 3½ მილიონამდე შემატონ სახელმწიფო ხარჯ-აღრიცხვა.

**ალჟესირასი.** კონფერენცია დასრულდა სრულის შეთანხმებით. პორტები საფრანგეთსა და ესპანიას შორის განაწილეს. პოლიციის შესახებ შეთანხმება 5 წლით ჩამოვარდა. ბანკის საკითხის შესახებ საფრანგეთში 3 წილი უნდა მიიღოს, დანარჩენებმა თითო-თითო. რევიზორებს დანიშნავენ ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა და ესპანიის ბანკები.

**ასხაბადი.** რუსეთის კონსული იუწყება სეისტანიდან, არეულობის გამო კარანტინმა შესწყვიტა მოქმედება. შავი ჭირი ვრცელდება ჩრდილოეთისაკენ და ძლიერდება ალბათ.

17 მარტი.

**პეტერბურგი.** ქალაქების კრებებზე აირჩიეს: ახტირკაში ვაჭარი, კადეტი, მღვდელი 3 გლეხი; პოკროვში მხოლოდ კადეტი. წვრილ მემამულეთაგან ამომრჩევლებად აირჩიეს: ოპოჩკაში 3 გლეხი და 4 მებატონე; კამენეც პოდოლსკში—592 გლეხი და 198 მღვდელი, 4 ქსენძი, ერთი მოხელე, 6 სტაროობრიადცი, 3 ექიმი, 15 აზნაური, 8 მეშჩანი; კაიდანოვოში—4 აზნაური, 2 ქსენძი, 27 გლეხი; მორგოროდში—8 ყაზახი და გლეხი.

**ბელოსტოკი.** ჟანდარმთა როტმისტრის კანცელარიაში ბომბა გასკდა. მოჰკლეს ერთი ჟანდარმი, დასჭრეს 2.

**ლომჟა.** ერთ მეჩექმის ბინაზე პოლიციამ აღმოაჩინა ბუნდისტების კრება. დაიჭირეს 51 კაცი, მათ შორის 4 გიმნაზისტია და 7 გიმნაზისტკა.

**პეტერბურგი.** ქალაქის მუშების რწმუნებულთა არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა. არჩევნები მხოლოდ 26 დაწესებულებაში მოხდა. ყაზანის მაზრის მემამულეებმა აირჩიეს ამომრჩევლებად მარშალი და ექიმი—ორივე ოქტომბრისტი, ბოგოდუხოვში—ნაფიცი ვექილი, ხარჯთაღრიცხვის ინსპექტორი და გლეხი; ლებედინში—ექიმი და მეშჩანი—კადეტები.

**ხარბინი.** ტყუილია გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა, ვითომც მთავარ-სარდალს განკარგულება მოეხდინოს მანჯურიიდან ქალებისა და ბავშვების გაყვანის შესახებ.

**იალტა.** სიმფეროპოლისკენ მიმავალ გზაზე ფოსტას დაეცა 8 შეიარაღებული კაცი და სროლა აუტეხეს ფოსტის მახლობელთ, მაგრამ უკანასკნელები მაგრად დაუხვდნენ, სროლითვე უპასუხეს და საფრთხე თავიდან აიცილეს. ერთი მოხელე მძიმედაა დაჭრილი.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის გუბერნიის მუშების რწმუნებულთა კრებაზე 78 კაციდან 72 გამოცხადდა. ამომრჩევლებად აირჩიეს: 7 მუშა პუტილოვის ქარხნის, რომელთაგან 2 რუსის ხალხის კავშირის წევრებია, ერთი ცენტრისაა და ერთიც ველური; ერთი—სემიანიკოვის ქარხნიდან—წევრი რუსის ხალხის კავშირისა; ერთი—კრონშტადტის ქარხნიდან—კადეტებზე უფრო მემარცხენე; ერთი—ტიეგის მაზრიდან—პროგრესისტი; ერთ თოფის წამლის ქარხნიდან—კადეტებზე უფრო მემარცხენე. მეცხრე ამომრჩეველს ხვალ აირჩევენ.

**ბერლინი.** აქ მოსულმა ცნობებმა, გრაფ ვიტტე ავად არის და სამსახურიდან გადადისო, ძლიერ დასცა რუსეთის ქაღალდების ფასი ბირჟაზე.

**პეტერბურგი.** გაზეთების სიტყვით, გაპონმა სთხოვა პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორს ან განმანთავისუფლეთ ისე, როგორც ყველა დამნაშავენი 9 იანვრის ამბავში და პეტერბურგში ცხოვრების ნება მომეცით, ანა და პასუხის გებაში მომეცითო.

**ასხაბადი.** ქალაქში ხმები დადის იარაღით ხელში ამოჟლეტენ ხელმწიფის სამსახურში მყოფთ და აჯანყება მოხდებაო, რასაც კავშირი აქვს უკანასკნელ ხანებში რკინის გზის მოსამსახურეების დატუსაღებასთან. ამიტომ ღამის ყარაულებს პატრულები მიახმარეს.

**ბერდიჩევი.** ფუკელზონის სტამბაში პროკლამაციების ბეჭდვა აღმოაჩინეს. მესტამბე და მუშები ციხეში ჩასვეს.

**ბერლინი.** სამხრეთ აფრიკაში გერმანიის რაზმს დაეცნენ ჰოტენტოტები. მოჰკლეს 1 აფიცერი და 10 სალდათი, 4 დასჭრეს, ერთი დაიკარგა, ერთმა თავს უშველა გაქცევით

**კრონშტადტი.** განაჩენი სასამართლოსი მეზღვაურთა აჯანყების შესახებ კრონშტადტში: გაამართლეს 84 ბრალდებული, დამნაშავედ იცნეს 129 მატროსი, უვადო კატორგა გადაუწყვიტეს 1-ს, 20 წ. კატორგა 33, 12 წლის—4, 8 ის—2, 6-ის—1, უფლებათა ჩამორთმევა და ტუსაღთა განყოფილებაში გაგზავნა 56-ს, გამასწორებელი ციხე—32-ს, სასტიკი დატუსაღება 20 დღით—ერთს, დაითხოვეს სამსახურიდან—1, სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა უფლებების ჩამორთმევით 18-ს.

**ბაქო.** პოსტიდან გაიქცა მატროსი სტეფანე შევჩენკო თოფით და პატრონებით,—გასულ წლის თებერვლის არეულობის დროს ადამოვისა და ბელუნეკოვის მოკვლისთვის ქარომსა და მაჰმუდ ოღლის 6 წ. კატორგა გადაუწყვიტეს, რაჭამს 1 წ. ტუსაღთა როტა, ორი გაამართლეს.

**ხარბინი.** სამხედრო სასამართლოში ხალხის დაუსწრებლად არჩევა საქმე ჩინეთის რკ. გზის მოსამსახურეებისა. ბრალსა სდებენ სისხლის სამართლის მე-129-ე, 130 და 131-ე მუხ. ძალით.

**პეტერბურგი.** ქალაქებიდან შეკრებილთ აირჩიეს ეკატერინოსლავში პირველ საწილში ნახევარი ოქტომბრისტები, ნახევარი კადეტები, მეთხეში—თითქმის ყველა კონსერვატორები; ნოვოჩერკასკის სტანიცაში—პროგრესისტი და ოქტომბრისტი; რაზდორსკში—კაზაკი და საპატიო მოქალაქე; ვიატკაში—საპატიო მოქალაქე, 2 მეშჩანი და გლეხები,—ამათგან 3 ზომიერია, ერთი მემარცხენე; კაშირაში—ვაჭარი, ზომიერი; იაროსლავლში—73 კადეტი. გლეხებმა აირჩიეს ამომრჩევლებად პავლოგრადში ფოსტის მოხელე და გლეხი, ამათში ერთი კადეტია, დანარჩენები პარტიის გარეშენი; კრასნოსლობოდსკში—ვოლოსტის მამასახლისი, ყოფილი სტუდენტი და 6 გლეხი; ლიუცინში ორი ლატიში გლეხი.

მეცნიერებათა აკადემიამ აირჩია სახელმწიფო საბჭოში ამომრჩევლად აკადემიკოსი შახმატოვი და ლაპო-დანილევსკი; უნივერსიტეტმა პროფესორები ბორგმანი, ინოსტრანცევი და სერგეევიჩი.—მემამულეებმა აირჩიეს კრასნოსლობოდსკში—აზნაური; ოსტროვში—აზნაური და ორი პროგრესისტი გლეხი; კოზელსკში—აზნაური და გლეხი, კიევის მაზრაში—77 გლეხი, 4 მეშჩანი, მღვდელი, ბანკის დირექტორი და ვოლოსტის მამასახლისი.

**ოდესა.** სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა მეშჩან შ-ნს 2 წლის ციხე აკრძალულ თხზულების შენახვისათვის, რომელიც მას უნდა გაევრცელებინა და რომლის სათაური იყო: „ადესის ყველა მუშებს“, 17 წლის მეშჩან გოლოსოვერს გადასახლება და უფლებების ჩამორთმევა ს.-რევოლუციონერთა პარტიის წევრებისა და კომიტეტის სასარგებლოდ ფულების შეკრებისათვის. სამხედრო სამართალში მისცეს აგრეთვე ხერსონის სადისციპლინო ბატალიონის სალდათი ჟუკოვი, რომელსაც ბრალად ედება სხვა სალდათებთან შეთქმულობა ბატალიონის უფროსის პოლკოვნიკ დავიდოვისა და სხვა უფროსების მოსაკლავად და არეულობის მოსახდენად. ამ მიზნით ჟუკოვი 1905 წ, 20 ივნისს, ვარჯიშობის დროს, მივარდა სხვებთან ერთად მოსაკლავად პოლკოვნიკ დავიდოვს და, როცა დავიდოვი დაეცა, მივარდა როტის გამგის მირგოროდსკის და ხიშტებითა და ქვებით დასჭრეს და დაამხვეს იგი.

### „რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

18 მარტი

**პეტერბურგი.** „ნოვოე ვრემია“ იუწყება, თურქესტანში არჩევნების მოსახდენი წესები მუშავდება და ჩქარა წარედგინება საგანგებო რჩევას განსახილველად.

ხმოსანმა სოკოვმა წინადადება შეიტანა პეტერბურგის საბჭოში პატივი სცეს ქალაქმა სახელმწიფო სათათბიროს წევრებს.

„სლოვო“ იუწყება, მინისტრთა საბჭომ მოიწონა შინაგან საქმეთა მინისტრის აზრი ქალაქებსა და მაზრა—სოფლებში სამხედრო წესებისა და გაძლიერებულ დაცვის ძალაში დატოვების შესახებ და დაამტკიცეს შეტანილი პროექტი.

„რუს“-ს აუწყებენ ყოვლად სარწმუნო წყაროებიდან, ფინლიანდიის გენ.-გუბერნატორი გერარდი თავის ადგილზე რჩებაო.

**კიევი.** რადგანაც ხმები გავრცელდა ებრაელების გაჟლეტას აპირებენო, ამიტომ ადმინისტრაციამ ყოველი ღონისძიება მიიღო არეულობის ჩასაქრობათ დაწყებისთანავე.

**განჯა** ჩაჰყარეს საძირკველი მუსულმანთა სასულიერო სემინარიისა.

**მიტავა.** არჩევნების საქმეს გულდაგულ ეკიდებიან.

**პოლტავა.** ადგილობრივ სადგურებზე გახშირდა ტვირთების პარვა.

**ეკატერინბურგი.** ცნობა მოვიდა, მთავრობამ ნება დართო მუშათა არტელს გახსნას ნოვგოროდის სახელმწიფო სამთა-მადნო ქარხანა და აწარმოოს საქმეო.

**კრონშტადტი.** სასამართლომ გამოიტანა რეზოლუცია, რომლის ძალით 123 მეზღვაური დამნაშავედ იქნა ცნობილი, 84—გამართლდა, საბოლოო განაჩენს 30 მარტს გამოაცხადებენ.

**მოსკოვი.** თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე ამომრჩევლებად აირჩიეს სახელმწიფო საბჭოში სამარინი და ტრუბეცკოი.

19 მარტი.

**პეტერბურგი.** უმაღლესად [illegible] ექნა ნება თუდი 80,000 მან. [illegible] პეტერბურ და მის ახლო-მახლო ადგილებში დამ მცხოვრებლების სასარგებლოდ.

„პრავიტ. ვესტნიკ“-ში დასტამბულია, ბორისკისა, უფისა, სამარისა, კოსტრ ვლადიმირისა, ნიჟეგოროდისა, იარო ორიოლისა, ტულისა, კალუგისა, ტვერი კიევის გუბერნიების საერობო დაწესებ თვალიერებამ გამოარკვია, რომ ბევრგან ცუდათაა დაყენებული სადარაჯო საქმე ყველაფერი ეს ხელმწიფეს მოახსენდება.

„სტრანა“ გადმოგვცემს, ვარშავის საიდუ პოლიციის უფროსს გრინს ოფიციალური დადება გაუგზავნა შინაგან საქმეთა ტრის და მოსთხოვა რაპორტის წარდგენა შესახებ, თუ რამდენად მართალია გაზეთების მის მიერ პოლიტიკურ დამნაშავეების წამ ამასთანავე გაიგზავნა 2 სანდო პირი ამ ს გამოსაძიებლად.

„ნაშა ჟიზნ“-ი იუწყება: „მინისტრთა საბჭოში აძრულია საკითხი სახელმწიფო თბორისათვის სამხედრო სამინისტროს ერთ მუხლების ჩამორთმევის შესახებ ამ თარმა მიიღო: ჯარის რაცხვი და საჭირო ჯი სათათბიროს გამგეობის ხელში რჩება, ხედრო საქმეების მართვა-გამგეობა, ჯარის ნაწილების სხვა და სხვა ადგილებში, ერთი თხიდან მეორეში გადაყვანა, ყველაფერი მთავრობას სათათბიროს. ამნაირად დამზა ლი პროექტი წარედგინება სახელმწიფო ბჭოს სათათბიროს გახსნამდე“.

„სლოვო“ ამბობს, კრონშტადტში ანდე სიბორიოში, როცა იოანე კრონშტადტელი მით გამოვიდა ალსავლის კარებიდან, მოვ ვლდაც და ჯოხი მოუქნია თავში დასარ დად, მაგრამ მას აცდინა და ბარძიმს დაარ

**სტამბოლი.** პორტამ თანხმობა განაცხადა მაკედონიაში ჟანდარმერიის გაძლიერებაზე.

**ასხაბადი.** ოლქის უფროსის ბინის დაპირ ბომბამ იფეთქა, მაგრამ არავინ ა შავებულა.

**ლანსი.** შეტაკება მოხდა ჯარსა და გაფიცულებს შორის. არიან დაჭრილები.

**ბელოსტოკი.** ისინოვის ქუჩაზე სამი გაზრდა კაცი დაიჭირეს და 3 ბომბა იპოვეს. დაჭრილებმა ანარქისტები უწოდეს თავ თავს.

**კიევი.** სტუდენტ ტიმჩენკოს ბინაზე აღმოაჩინეს 37 რევოლვერი, არა-ლეგალური ლიტერატურა, ბეჭედი და შრიფტი სოციალ-დემოკრატებისა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნ. ჯაბა

## განცხადებანი

### სვირის ღვინო

გავხსენი ვაჭრობა სვირის საუკეთესო ღირსების ღვინოებისა ბოთლი 20 კაპეიკიდან 40 კაპეიკამდე. ვედროობით მორიგებით. დიდუბეში რკინის გზის საავადმყოფოს პირდაპირ, საკუთარ სახლში. პატივისცემით ვ. ხომ სირიძე. (10—2)

მასწავლებელთა საყურადღებოდ

დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი

### არითმეტიკული კრებული

პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I. (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით). ფასი ერთი აბაზი. ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანეთზე აბაზი დაეთმობა. საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა.“ (10—414—5)

### ქუთაის [illegible]

[illegible] ალექსანდრე კოსტავას სავაჭრო [illegible] ტფილისის ქუჩაზე, ქალაქის სახლებში ქალაქის აფთიაქის გვერდით, [illegible] 15 მარტიდან დაიწყება დიდი იაფი დამზადებული ტანისამოსის გასყიდვა. (5—4.—1)

საყმაწვილო ჟურნალი

### ნაკადული

სურათებით

წელიწადი მეორე

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში, მარიამ დემურიას ბინაზე, ალექსანდრე ჩა, № 5. რედაქცია იმყოფება გოლო პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, №

**ქ. ფოთში** მიიღება ხელის მოწერა გა „ცნობის ფურცელზე“ და ჟურნალ „ნაპერწკალზე“ ბ. არჩუაძის წიგნის მაღაზიაში.

### სესხი გლეხებს

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგლეხო ბანკის დახმარებით გლეხებს შეუძლიათ [illegible] მამულის შეძენა. ვკისრულობ ყველა საქმეს, რომელიც დასჭირდება სესხის გამოტანას, ადგილ-მამულის შეძენას სოფლის საზოგადოებისათვის, გლეხთა ამხანაგობისათვის, ცალკე სოფლებისათვის; ვაფასებ ტყეებს, ვადგენ გეგმებს, მამულების აღწერას,—ყველაფერს რაც საჭიროა მამულის ყიდვა-გაყიდვისათვის და დაგირავებისათვის.

იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც ჰსურთ მამულების გაყიდვა და აგრეთვე იმ გლეხთა საზოგადოებათ და სოფლებს, რომელთაც ჰსურთ მამულების ყიდვა ჩემის შუამავლობით, ვთხოვ მომმართონ მე **ტფილისში**, ფრეილინის ქუჩა, სახლი № 3, ტელეფონი № 567. (30—17)

გ. ხნეუკოვს.

**Открыта подписка на 1906 годъ**

На фотографическій журналъ

### ВСЯ РОССІЯ

12 ежемѣсячныхъ выпусковъ 1 руб. 50 коп. съ пересылкой

**Самое разнообразное содержаніе** по всѣмъ вопросамъ, относящимся къ фотографіи, **художественныя приложенія и иллюстраціи.**

**Подробныя программы и пробные номера по востребованію**

Оставшіеся экземпляры за 1905 г. со всѣми приложеніями . . 1 руб.
Парцеръ-Мюлбахеръ. Книга фотографическихъ работъ и занятій пер. К. Федорова . . . . . . . . . . . . . 2 руб.
Для подписчиковъ на 1906 годъ . . . . . . . . . . . 1 руб.
Пересылка . . . . . . . . . . . . . . . . . 20 коп.

Редакція: *К. И. ФРЕЛАНДТЪ. Москва, Нижняя прѣсня, домъ № 4.*

ОТДѢЛЕНІЕ РЕДАКЦІИ: Складъ фотогр. прин. П. О. Гофманъ. Москва Мясницкая д. Соколова. (3—3)